# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 56 პარასკევი, 12 მარტი 1910 წ. № 56

ნცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ქალაქებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადება ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ამ საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ნცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათა, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ ხავარდ ხაზლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათ ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. ხიტროვა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირს მოგადორ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მ ოთხრობები. პირადად მოლაპარაკება რედაქტორთან ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი განჯის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი უფასოდ ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
**ანასტასია ალექსის ასული გოგოხიასი,**
რასაც უზომო მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **ბესარიონ დავითის ძე გოგოხია** ობლებით. პანაშვიდი დღეს საღამოს 7 ს. გამოსვენება პარასკევს, 12 მარტს, დილის 9 საათზე. წირვა ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში; დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. ბინა: ვერა, არაგვის ქუჩა, № 8, სახლი ეგაძისა. (2—175—2)

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**
**შაბათს, 13 მარტს, 1910 წელს,**
სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. ხმართველ სცენის მოყვარეთა წრის-მიერ **ვასო აბაშიძის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება
**„ხ ა ლ ხ ი"**
დრამა 4 მოქმედებად, პლატონისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი თ. გოგოლაშვილი, თამარაშვილი, ნებიერიძე, ლეჟავა, ციმაკურიძე და ქიქოძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, მეტრეველი, პეპანოვი, ზურაბიშვილი.
**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**
ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.
რეჟის. **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ა. ჭიაბეროვი.**

**საკოლონიო ამხანაგობა**
**„ობოროტი"**
(ამიერ-კავკ. რკინის გზების მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების საქონლის ჩამბარებელი)
**ამით აუწყებს** მომხმარებელ საზოგადოების წევრთ და კერძო მუშტარს, რომ 11 მარტიდან გაიხსნა **შეკერილ ტანისამოსის განყოფილება. ყოველნაირი ტანისამოსი მამაკაცთა პორტიკულიარული, ფორმისა და მოწაფეთათვის, ქალთა ტანისამოსი, პარიზის უკანასკნელ მოდაზე დამზადებული. ფასები შეუვაჭრებლად,** კონკურენციის გარეშე.
მაღაზია მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე, № 16, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (5—გაჟ.—2)

**სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი**
**ქუთაისში**
ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა,** მსურველთ შეუძლიათ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—26)

**ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი**
**მ. ა. გაყონია**
იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.
ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:
(20—11) **ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.**

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- დ ხას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. პარასკ. 2 2-ნახ. ს.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**პაპოვი ვ. ა.** ქურ., ყელის და ცხვი., ყო დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**ხოზოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღე, 9—11 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ.,
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—129)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.
**ვ. ვაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშ. ავად. 2—3 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.
ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—292)

**ექიმი** ქუთაისში **ფ. ი. გაევსკი**
იღებს ავადმყოფებს შინაგან სნეულებათა და ბებიაობისას დილით 11—1 საათზე, საღ., 5—7 საათზე. კაზაკოვის ქ., N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—4)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—79

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—386)

**დ. ქარელში**
**მედიცინის ფერშალი ლ. პ. ჯინორიძე**
იღებს და ნახულობს ავადმყოფებს, უკეთებს ზოგიერთ ჭრილობებს (ოპერაციას), კანში შესასხამ წამლებს, მასაჟს, უცრის ყვავილს და ღებულობს ყოველ დღე საფერშლო საქმეს. (15—155—15)

**ექიმი ვასილ წერეთელი**
ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათ. ივანოვის ქ., მეხე ქიქოძის სახლი. (0—ე.—137)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყოჩანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 26, ტელ. N 79. (0—ნ.—120)

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი**
ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროთერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—23)

**ექიმი** კბილისა **რომანიშვილი-დგებუაძისა**
იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.
ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—36

**ექიმი დ. ახვლედიანი**
იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი შ. მიქელაძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუ-ჩა N 17, ბროცკიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—47)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 2

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილი 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის N 4, სახლი გაბაშვილისა.

**ექიმი** სპეციალისტი ქ. ქუთაისი **გ. დ. ბეთანოვი**
მიიღებს სიფილისით, ვენერიულისა და კანის სენით ავადმყოფებს. აფთიაქისა და კლუბის ქ. ქ. კუთხეში N 24/2 ყოველდღე დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. (25—ფ.—)

**ხონის საურთიერთო კრედიტის**
საზოგადოების **წლიური საზოგადო** კრება დანიშნულია კვირას, 28 მარტს, დილის 11 საათისთვის ქალთა პროგიმნაზიის შენობაში.
განსახილველი საგნები
1. განხილვა და დამტკიცება 1909 წლის ანგარიშისა.
2. არჩევანი საბჭოს ორი, გამგეობის ერთი და სარევიზიო კომისიის სამი წევრისა, ნაცვლად ვადა გასულთა.
3. დამტკიცება 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.
4. შეცვლა 6 მუხ. § 17
5. შარაშიძის მამულის დაზღვა.
(3—1)


## ჩვენი სატკივარი

სოწარკვეთილებით მეუბნებოდა მეგობარი: ჩვენი საქმე დაკარგულია, არაფრში გამოსადეგნი აღარა ვართ. ყოველი ჩვენი აღფრთოვანება წუთიერია. სადღესასწაულოდ ვართ შობილნი. მუდმივი შრომა გვეჯავრება კრებულად ყოფნა გვღლის, აზრ გვიღვიძებს, იმედს გვიცხოველებს. მაგრამ დავიშლებით თუ არა ყრილობიდან, იუბილეა იგი თუ პანაშვიდი, (პანაშვიდიც ერთგვარი გასართობია ჩვენში), მივუბრუნდებით თუ არა ჩვენს მუდმივს, ჩვენს უფრულ დღიურ საქმეებს, ყოველივე იცვლება ჩვენს გულში—აღფრთოვანება ჰქრება, აზრი მიდუნებულია, სიცოცხლის ხალისი დახშულია. ვაკეთებთ რაღაცას, თითქოს ვმუშაობთ, მაგრამ გული ჩვენი დაწყლულულია და თითქოს ეს ჩვენი გარჯა და ეს ჩვენი მუშაობა უნაყოფოა და უაზროა...

ასე და ამ გვარად აყღერებდა ჩანგებს ჩემი მეგობარი საუბრის დროს. და ძალიან ძნელიც არის ამ ჩვენს ვაგლახ დროში გული ქმუნვას და სევდას არ დაემორჩილოს, მაგრამ ჩემი მოსაუბრე მართალია. ჩვენი საქმიანობა მართლაც და ხალის ფასად არა ღირს. ნამდვილ საქმეს არ ვაკეთებთ, წვრილმანში ვართ ჩაფლულნი და როდესაც რაიმე დიდი უბედურება გვეწვევა, მაშინ გვაგონდება არარაობა და ფუჭი ჩვენის სიცოცხლისა.

მაგონდება ერთი პატარა კაცის ამბავი. ეს კაცი, სახელად ფილიპე, ოცი წლის განმავლობაში რკინის გზის სადგურის ბუფეტის მოსამსახურე იყო. სიბერის ჟამს უბედურება ეწვია. მატარებლიდან გადახტომის დროს მარცხი მოუვიდა. ვაგონის ბორბლებ ქვეშ მოჰყვა და ფეხები მოსწყდა. მომაკვდავი ფილიპე ოთახში დაასვენეს და მის სულის კვეთებას ასე მოგვითხრობს ივანე ზურაბიშვილი თავის პატარა მშვენიერ ესკიზში „ფილიპე", საიდანაც ჩვენ გავიცანით ამ პატარა ადამიანის ვინაობა და მისი უბედურება.

„ფილიპე გონს მოსულა და ეხლა თვალებ დაჭყეტილი ფანჯრისაკენ იყურება. სახეზე რაღაც გაკვირვება ეხატება, ვერ გაუგია, სად არის. თითქო ეს ნაზი, ვერცხლის ფერი სინათლეც ეხამუშება; ფანჯრისაკენ იყურება, სტკბება ამ შვენიერის საღამოთი და იმავ დროს ვერ გამორკვეულა, ვერ მოჰგონებია, ენახა ასეთი მშვენიერი ღამე როდისმე, თუ არა. „უნდა მენახოს ალბად,—ჰფიქრობს ფილიპე,—ეს პირველი ხომ არ არის ჩემს სიცოცხლეში გაზაფხულის მთვარიანი ღამე, მინახავს, როგორ არ მინახავს"—გაურბის ფილიპეს თავში ცალკე, მოწყვეტით აზრები. მაგრამ იმისი გახსენება კი არ შეუძლიან როგორღაც, რომ ასე მშვენიერი შეჩვენებოდეს გაზაფხულის მთვარიანი ღამე. ნაზი ვერცხლის სინათლე კი უფრო და უფრო იზიდავს ფილიპეს...

„ისევ თავის აზრებს უბრუნდება ფილიპე,—როგორ არა, უნახავს, უნახავს ასეთი მშვენიერი, მომხიბვლელი საღამო, მაგრამ, ოჰ, რა დიდი ხანია მას აქეთ; ეს იყო ბავშვობაში... როგორ არა, ახსოვს. ახსოვს, ერთხელ საღამოს თავის დროზე რომ აღარ დაბრუნდა სადილიდან მათი მშვენიერი ხარი ნიკორა და მამა მისი იმის საძებნელად წავიდა. სახლში ყველანი შეწუხებულნი იყვნენ, მგლებმა არ დააშავონო, და ისიც, ფილიპეც, დედასთან ერთად ეზოში ელოდებოდა მამას და ნიკორას. აგერ გამოჩნდნენ მამა და ნიკორა, ყველას უხარია, ყველა მისაგებებლად მირბის და საღამო კი ისეთი კარგია, ნათელი და მთვარიანი, ყველაფერი ვერცხლის ფერში სცურავს და ვერცხლად იღებება. ახსოვს, როგორ არ ახსოვს!.. ფილიპე სცდილობს გაიხსენოს მთვარიანი სხვა საღამოებიც, მაგრამ ვერ ახერხებს როგორღაც. „განა ამ ოცის წლის განმავლობაში, რაც სადგურზე მოახლე ვარ, არა ყოფილა გაზაფხული, არა ყოფილა გაზაფხულის მთვარიანი ღამეები?" ეკითხება ის თავის თავს, ძალას ატანს თავის მეხსიერებას, მაგრამ არ იქნა, არ იბადება იმის ტვინში მოგონება ასეთის საღამოსი ამ ოცი წლის განმავლობაში. ფილიპე ეხლა სხვაზე იწყებს ფიქრს. „მაშ რაღა მახალისებდა ამ ოცი წლის განმავლობაში—ფიქრობს ფილიპე: — ასეთი მშვენიერი საღამო მრავალი უნდა ყოფილიყო და არ დამხსომებია, ალბად სხვა რამე მქონია გასართობი, სხვა რასმე გაუტაცნივარ და დაუტკბივარ, მხოლოდ რას?!"

დიაღ, ჩვენ სწორედ ფილიპეს საქმე დაგვემართა. მოვემწყვდიეთ სადღაც სადგურში. თითქოს შორს გზას წამსვლელები ვიყავით, თითქოს მკვიდრი ბინა და სადგომი უნდა მოგვენახა მაგრამ გზის სადგურს ვერ გადავცილდით. ფილიპესავით ვცდილობთ, ოფლსა ვღვრით. დღეს ღამე მოსდევს, თვეს წელიწადი, მიდის დრო და ჩვენთვისაც არა დგება გაზაფხული და ჩვენც ვერა ვსტკბებით მთვარიან გაზაფხულის ღამეებით. ამისი უნარიც კი გვაქვს დაკარგული. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც რაიმე თავზარდამცემი ამბავი დაგვატყდება და როდესაც მთელი ჩვენი სხეული და გონება აღშფოთებული და შერყეულია, დაღონებულნი და დასევდიანებულნი ვგრძნობთ, რომ ის, რასაც ვაკეთებთ, ნამდვილი საქმე არ არის და ის, რითაც ვცხოვრობთ, აზრს და მიზანს არის მოკლებული.

როგორ მოხდა ყოველივე ეს? რატომ არის უძლური და უნაყოფო ჩვენი ინტელიგენცია? აი საგანი, რომელსაც ჯეროვანი დაკვირვება სჭირია. ამ საგნის განმარტება განმარტებაა იმ დრამისა, რომელსაც განიცდის ქართველი ინტელიგენცია—ინტელიგენცია, რომლის გულს აღარ ახარებს არც ცა ვარსკვლავებით მოჭედილი და არც დედამიწა ყვავილებით შემკულ-მოქარგული.

ეს მოხდა ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზთა გამო. საქართველოს ძველი სოციალური ორგანიზაცია შეგუებული იყო იმ დროინდელ მოთხოვნილებასთან. ჩვენი მთავარი საქმე ველზე ბრძოლა და ომი იყო. და ფეოდალური ორგანიზაცია ამ ბრძოლისთვის საჭირო იარაღს გვაძლევდა. მთავარი ელემენტი, რომლისგანაც შესდგებოდა ჩვენი საზოგადოების ძველი სტრუქტურა, იყო თავად-აზნაურობა და ყმობა. თავად-აზნაურობა სოციალურად ბატონი, პოლიტიკურად მსახური იყო ერისა. ყმა, სოციალურად მონა, პოლიტიკურად მომქმედი ძალა. ფარხმალი იყო ერის არსებობისა. ეს უკუღმართობა ძველი დროის უკუღმართობაა, ხოლო ამ უკუღმართობის მიუხედავად ერს შეეძლო სიცოცხლე, ბრძოლა და არსებობა.

დღეს სულ სხვა დრო დაგვიდგა. დღეს მეოცე საუკუნეში ვართ და ჩვენ კი არავითარი ახალი იარაღი გამოსადეგი ახალ პირობებთან საბრძოლველად ხელში არ გვიჭირავს. ძალიან დავიგვიანეთ. რატომ მოხდა ეს დაგვიანება, ამის გამოძიებას ეხლა არ შეუდგებით. აშკარა კია, რომ ის, რაც საფრანგეთმა განიცადა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოში, ჩვენ მხოლოდ ეხლა განვიცადეთ. წარსული წლების რევოლიუცია იყო ჩვენში პირველი დიდი რევოლიუცია წოდებრივობის წინააღმდეგ მიმართული. სოციალ-დემოკრატიის გავლენა ხალხზე იმიტომ იყო ძლიერი, რომ მან მთელის თავის ძალღონით აამოძრავა ხალხი ძველ წყობილების ნაშთების წინააღმდეგ. ამითი აიხსნება ის გარემოებაც, რომ ის სოციალისტური პარტიები და ჯგუფები, რომელნიც იცავდნენ იმ ხანებში სოციალიზმის პრინციპების სიწმინდეს და სცდილობდნენ მიწის სოციალიზაციის სახით ხალხის აამოძრავება ამ პრინციპების მიხედვით, უღონონი გამოდგნენ. ხალხი მათ არ ეკარებოდა. სოციალ-დემოკრატს კი მისდევდა, რადგან სოციალ-დემოკრატი „ბატონს" ემტერებოდა. „ბატონობა" კი საუკუნოებით გადმოცემული ინსტიტუტი იყო, რომლის გაუქმება ხალხს დიდი ხანია სწყუროდა. მემამულეთა მიწების დასაკუთრება და ჩამორთმევა—აი ლოზუნგი წარსულ რევოლიუციისა. და ვინც ამ ლოზუნგზე შორს მიდიოდა და ეუბნებოდა ხალხს, საქმე წოდებრივ მემამულეში არ არის, არამედ კერძო საკუთრებაში, რომელიც უნდა იყოს გასაზოგადოვებული, ის გაუგებარი რჩებოდა ხალხისთვის, რადგან, ვიმეორებთ, წარსული რევოლიუცია იყო პირველი დიდი წოდებრივი რევოლიუცია. წოდებრივობის გაუქმების მოთხოვნა იყო მისი სული და გული. დანარჩენი მოთხოვნანი პოლიტიკური ხასიათისა ზერელე მოთხოვნანი იყო, უფ-


**ვერის სახალხო აუდიტორია**
შაბათს, 13 მარტს, ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება
I
**„ორ ცეცხლ-შუა"**
დრ. 3 მოქ. თარგ. მაჩაბლისა.
II
**„ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი"**
ვოდ. 1 მოქმ. დ. აწყურელისა.
მზადდება „უდანაშაულოდ დასჯილნი" და „ცხოვრების გარეშე". ადგილების ფასები 5 კ.-დან 25 კ.-მდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
(1—1) ადმინისტრატორი **კოსინკოვი.**

**ქ. თელავში**
პირველ ენკენისთვიდან ამ 1910 წლისა
**გაიხსნება ვაჟთა სრულ-უფლებიანი პროგიმნაზია**
ვისაცა ჰსურს ყმაწვილების მოყვანა ამ გიმნაზიაში, იმათ უნდა თხოვნები ეხლავე შემოიტანონ გიმნაზიის მომწყობ კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე. სწავლის ფასი დანიშნულია 80 მანეთი, რომელიც უნდა შემოტანილ იქმნას ორჯერად ნახევარ-ნახევარ წლისა. თხოვნებისათვის ბლანკები დასტამბულია. ცალკე იქმნება გამოცხადებული, როდისთვის დაინიშნება ბავშვების მისაღები გამოცდა. პროგიმნაზიისთან იქმნება მოსამზადებელი კლასები და საანბანო განყოფილებაც. (3—ნ.—4)

**ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში**
იღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას, ძალიან იაფად, აგრეთვე საცვლებს და სხვა და სხვა ხელ-საქმეს „გლადით" და „მეტკებს".
ადრესი: ვერა, გაბაანთ ქ., № 3. (10—6)

რო პროპაგანდისტების მიერ შეტანილი. ხოლო რაც შეეხება ეროვნულ მოთხოვნას, სოციალურმა ინტერესმა ისე დაიმონა და შებოჭა ხალხის გონება, რომ იგი სრულიად არ იყო მომწიფებული მის გულში.

რევოლიუციამ ვერ გაიმარჯვა, მაგრამ თავისი ნაყოფი მაინც გამოიღო. ჩვენს თვალწინ სწარმოებს ამ ჟამად აჩქარებული ლიკვიდაცია ძველ წოდებრივ მიწის-მფლობელობისა. დაქანებული ტემპით ეცლება ჩვენს თავად-აზნაურობას მამულ-დედული. გლეხობამ რევოლიუციონური საშუალებით მიწა ხელში ვერ შეინარჩუნა, ძველი მფლობელობის საძირკველი კი შეარყია. შეიძენს გლეხი მიწას თუ არა, თავადს კი იგი ვეღარ შერჩება. იგი აუცილებლივ უნდა გადავიდეს სხვის ხელში, და გადავა იმის ხელში, ვინც ბაზარში ქისას წამოიღებს და ვინც პორთფელიდან ჩეკებს გამოიღებს.

შესძლებს ამ საქმის ასრულებას ჩვენი გლეხობა? არა. ფაქტები, რომელიც ჩვენ ხელშია, აშკარად გვიმტკიცებენ, რომ საუკეთესო ნაწილი ჩვენის ტერიტორიისა სხვის ხელში გადადის. ასე რომ ის მიწები, რომლის ხელში ჩაგდებისათვის ამოძრავდა ჩვენი გლეხობა ამ რამდენიმე წლის წინად, ეხლა ისევ სხვის საკუთრებად რჩება. ერთ მემამულის ნაცვლად სხვა მემამულე გაუჩნდა მას პატრონად. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ამ სხვა მემამულეს პოლიტიკური ძალა უპირავს ხელში და მიწას ისე მოიხმარს, როგორც ამას მისი პოლიტიკური ძალა მოითხოვს.

რა გამომდინარეობს ყველა ამისაგან? ის რომ, მიუხედავად ჩვენის კულტურულ დაწინაურებისა, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლაში აუარებელი ძალა დავსაქსეთ და მსხვერპლი შევწირეთ წმინდა პრინციპებს, ბოლოს და ბოლოს ცხოვრების სასტიკ პირობების წინაშე სრულიად უიარაღონი და უძლურნი გამოვდექით. თუ ძველ დროში ჩვენი საზოგადოების სტრუქტურა შესდგებოდა თავად-აზნაურობისაგან და [illegible]ბისაგან, ეხლა ჩვენს წინ ორი თვალსაჩინო ელემენტია, რომლითაც დახასიათდება ჩვენი საზოგადოების ფიზიონომია—ეს არის ინტელიგენცია და გლეხობა, ხალხი. ქალაქის მუშებიც არიან, ვაჭრებიც, განსაკუთრებით წვრილი ვაჭრები, მაგრამ არც მუშებს, არც ვაჭრებს სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვთ. მუშებს იმიტომ, რომ საქართველო იყო და ეხლაც არის მეურნეობის ქვეყანა. ვაჭრებს იმიტომ, რომ სარდაფ-სამიკიტნოს იქით ქართველთა ვაჭრობა არ მიდის. და გვრჩება ორი კატეგორია—გლეხობა, ერის დიდი უმრავლესობა, ელემენტი, რომლის კეთილდღეობაზეა აგებული ერის კულტურული წინსვლა—გლეხობა, ჩამორჩენილი შეგნებით და ცოდნით, ეკონომიურად სუსტი და უიარაღო თანამედროვე პირობებთან ბრძოლაში. ინტელიგენცია—ეროვნულ კულტურის გამომხატველი, ხოლო უძლური, ერთის მხრივ, თავის დოქტრინიორობით, და მეორეს მხრივ კი, უნაყოფო თავის ულონობით—ინტელიგენცია ულაჯო მოწამე და მაყურებელი ხალხის გაჭირვებისა და ერის განსაცდელისა.

ამ ავლა დიდების პატრონებს გვინდა უვნებლად და უდარდელად ცხოვრება მეოცე საუკუნეში. და პრაქტიკულად ის გამომდინარეობს ყველა ამისაგან, რომ ჩვენ თანდათან სხვის მონებათ ვხდებით. არა მარტო ვერ ვაკმაყოფილებთ საკუთარის ძალღონით ჩვენს უპირველესს და უახლოვესს მოთხოვნილებათ, არამედ ისიც, რაცა გვაქვს, სხვას ვაძლევთ. ინტელიგენცია კი ამისი შემყურე სასოწარკვეთილებას ეძლევა, გაჩენის დღეს იწყევლის და ქვითინ-წუწუნით იბრუნებს სულს. ბრძოლის მოედანზე გამოგვაქვს [illegible]პები, გეგმები, ერის უფლე[illegible], იდეალისტური სისტემები, ამ ბოლო დროს ონტოლოგიური ფილოსოფიაც კი. მოძრავი და ახალ პირობებთან შეგუებული ძალები კი ჩვენს თვალებს წინ სთვლიან ბანკის ბილეთებს და ამ ბილეთების საშუალებით ითვისებენ და ისაკუთრებენ ჩვენი სიყვარულის, ოცნების და მზრუნველობის საგანს — ჩვენს სამშობლოს. ეროვნული ტერიტორია! რას მიქვიან ეროვნული ტერიტორია. არის ტერიტორია სახელმწიფოებრივი და სახელმწიფოს ფარგალში ალებ-მიცემობაა გაჩაღებული. ალებ-მიცემობა (თუნდა მიწისა) უნდა იყოს თავისუფალი. ვინც ამის წინააღმდეგია, ის ჩამორჩენილი რეაქციონერია. და ამ თეორიებით გამაგრებულნი, გვაწვდიან ბილეთს და იღებენ, რაც ესაჭიროებათ. გაზეთებში პროტესტს ვაცხადებთ, უსამართლობაა, ცინიზმია, ჩვენი უფლების დამცირებაა ყოველივე ეს! ხოლო არავითარი საშუალება არა გვაქვს ხელთ შევაჩეროთ ეს უსამართლობა და დამცირება. და უზომო მწუხარებით შეწუხებულნი, ვძლევით დავიწყებას, ვეწაფებით ცხოვრების წარმავალ სიამეთ, გულს ვიყრუებთ, ვიჩლუნგავთ, ვიქვავებთ და მხოლოდ დრო გამოშვებით თავზარდაცემულნი ვღუღლუღებთ: ღმერთო! ჩვენთვის არ არსებობს არც სიხარული, არც გაზაფხული არც გაზაფხულის მთვარიანი ღამეები!

გასავალი? ხსნა? გასავალი და ხსნა ერთად ერთია. დღეს ხმლის ტრიალი არ არის. დღეს ბაზრობაა. ბაზარში ცარიელ ჯიბით გამოსვლა არ შეიძლება. თუ სხვებთან ერთად ბაზარში ვერ გამოვდივართ, სხვები ჩაიგდებენ ხელში არა მარტო იმას, რაც გატანილია გასასყიდად, არამედ იმასაც, რაც არ იყიდება, ხოლო, რაც გაიყიდება ცხოვრების ულმობელ კანონის ძალით.

კი ეს ასეა, მაგრამ აბა გაჰბედეთ და სთქვით საჯაროთ, რომ ჩვენი უბედურება ის არის, რომ ძლიერი ეროვნული ბურჟუაზია არა გვყავსთქო. ნახავთ, რა განგაშს ასტეხენ. ბურჟუაზია?! ააა?? ბურჟუაზია?! პროლეტარიებო, ხომ გესმით! არ გყოფნით სხვა ტომის სისხლის მწოვნელნი, ქართველი წურბელებიც უნდა შეისხათ კისერზედაო! გრგვინავს მრისხანე ხმა ხალხის „ნამდვილ“ ქირისუფლებისა, და ამასთან გაისმის მედიდური ხარხარი და თავმომწონე დარიგება „ბურჟუაზიის იდეოლოგებისა“.

და თუმცა ამ „ქირისუფლების“ აზრი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ეროვნულ ბურჟუაზიის განვითარების საჭიროების აზრს და თუმცა სოციალ-დემოკრატის შეგნებით ბურჟუაზია, განსაზღვრულ საფეხურზე, ემსახურება ეროვნულ ინტერესებს და მისი წარმოშობა არ ეწინააღმდეგება მშრომელ ხალხის ინტერესებს, მაგრამ ყოველივე ეს მართალია თეორიაში, მართალია აგრეთვე სხვა ქვეყნების ეკონომიურ ისტორიაში, საქართველოში კი— ღმერთო ჩვენო, საკუთარი ბურჟუაზია! განა შესაწყნარებელია ამ პარაზიტის და ხორც-მეტის გაჩენა! მართალია, ტერიტორია გვეყიდება, მაგრამ ამის გულისათვის ხომ ვერ ვიზრუნებთ იმისთანა უწმინდურ დაწესებულების დაარსებაზე, როგორიცაა ბანკი. პროლეტარიებო! ბანკი, საკუთარი ბურჟუაზია! ამაზე მეტი დაცემა შეიძლებაო? აი ის „მზაკვრული ქსელი“, რომელიც ჯერ კიდევ „ცნობის ფურცელმა“ გადისროლა ხალხის გასაბმელად და ახლაც არა სცხრებიან და გვიწვევენ საბრძოლველად ჩვენ, ჩაგრულთ ინტერესების დამცველთ!

ამასობაში კი დრო მიდის. ცხოვრება ანგარიშებს ასწორებს, სიმდიდრეს აბარებს იმას, ვინც ცხოვრებაში მომზადებულია. ჩვენ კი თეორიებში დახელოვნებულნი და სამართლიანობის პრინციპებში აღზრდილნი, ხოლო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი „დახლიდარების“ გასახარებლად და ჩვენი გულის გასამხნევებლად აბსოლიუტეზე და მარადიულის უკვდავებაზე ვმუსაიფობთ.

**არჩილ ჯორჯაძე.**

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**რკინის გზათა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.**

10 მარტის სხდომაზე ორთქლმავალებზე იყო ლაპარაკი. საბიუჯეტო კომისიას შეუმცირებია ის თანხა, რომელიც ახალ ორთქლ-მავალებისთვის იყო გადადებული.

**მარკოვი პირველი და მინისტრის ამხანაგი** დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ორთქლ-მავალებს: ამზეა დამოკიდებული სახელმწიფოს დაცვა, ომის დროს გამარჯვება და სხვაო.

**მომხსენებელი, ოქტ. ლერხე** და **კად. ნეკრასოვი** თუმცა თანახმანი იყვნენ, რომ რკინის გზის კარგად მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვსო, მაგრამ თანხის აღდგენას არა სცნობდნენ საჭიროდ.

სათათბირომ ხარჯთ-აღრიცხვა მიიღო ისე, როგორც საბიუჯეტო კომისიამ შეასწორა.

**ვაჭრობის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.**

**მომხსენებელმა გოდნევმა** გააცნო სათათბიროს ვაჭრობის სამინისტროს საზოგადო ნაწილის ხარჯთ-აღრიცხვა. გადადებული ყოფილა 6,365,904 მ. კომისიას 599,491 მანეთით შეუმცირებია. ამას გარდა გამოუკლია ნახევარი მილიონი მანეთი, რომელიც გადადებული ყოფილა ვაჭრობის სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულებათათვის სახლის ასაგებად. მომხსენებელმა სთქვა ვაჭრობის სამინისტრომ არ აასრულა სათათბიროს მიერ ორჯელ გამოთქმულ სურვილების უმრავლესობაო.

**ვაჭრობის მინისტრმა** დიდ ხანს ილაპარაკა. საყვედური სურვილების არ ასრულების შესახებ მართალიაო, სთქვა მან, მაგრამ სამინისტროს არც შეუძლიან ასე უცბად აასრულოს ეს სურვილები, რადგან საქმე რთულია და დიდ მუშაობას მოითხოვსო. სამინისტროს მთავარი მიზანი ის არის, რომ ხელი შეუწყოს რუსეთის მწარმოებელ, ძალთა განვითარებას: პირველი საქმე სასოფლო-მეურნეობაა. ამიტომ სამინისტრო სცდილობს კარგად მოაწყოს პურის გატანის და გაყიდვის საქმე. განზრახულია გაფართოვდეს ხორბლის საწყობები, მოეწყოს კრედიტის საქმე ხორბლის გირაოზე და სხვა. მთავრობა ადგენს აგრეთვე პროექტებს სავაჭრო-სამრეწველო აგენტურის შესახებ საზღვარ-გარედ, ნავთ-სადგურების აგების შესახებ და სხვა. დიდი ყურადღება მიაქცია სამინისტრომ სამთო-მადნო საქმესაცაო. ილაპარაკა მინისტრმა ურალისა და ნავთის წარმოებაზე, შეეხო სამკურნალო წყლებს, მუშების მდგომარეობას, მათ დაზღვევას და სხვას.

ილაპარაკეს **სტეპანოვმა, გეგეჭკორიმ, პროტოპოპოვმა, დზიუბინსკიმ, ზამისლოვსკიმ.** პირველმა ორატორმა აღნიშნა, რომ სავაჭრო სამინისტრო ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სათამაშო ბურთად გამხდარა: პირველი ფულს არ აძლევს, მეორე სპობს პროფესიონალურ კავშირებსო. გეგეჭკორიმ სთქვა: რეაქცია ისეთ პირობებსა ჰქმნის, რომ შეუძლებელი ხდება მწარმოებელ ძალთა განვითარება. ამას გარდა სამინისტრო მსხვილ კაპიტალისტების სურვილის ამსრულებელია. რუსეთი მაშინ გამოვა გაჭირვებიდან, როცა პროლეტარიატი შეერთდება და დაანგრევს იმ კედელს, რომლის იქითაც თავისუფლებააო.

**შეკითხვა მასწავ. უსტინოვიჩის შესახებ.**

საღამოს სხდომაზე სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიტანა შეკითხვა ქუთაისის მთავრობის გიმნაზიის მასწავლებლის უსტინოვიჩის შესახებ. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან ამ საქმის ვითარება. ამ სახელოვანმა მასწავლებელმა დაუყვირა ქართველ მოწაფეებს: „ნუ ჰყეფთ მაგ პირუტყვის ენაზეო“. შეკითხვის ავტორებმა წინადადება მისცეს სათათბიროს, შეეკითხოს კავკასიის ნამესტნიკს, რა ზომების მიღება აქვს განზრახული, რომ ზოგიერთმა რუსმა ჩინოვნიკმა-პედაგოგმა არ შეურაცხჰყოს ხოლმე მთელი ერის ღირსება.

**ჩხეიძემ** განაცხადა, რომ შეკითხვა სასწრაფოდ უნდა იქმნას ცნობილი, რადგან შეიძლება დაისაჯნენ მოსწავლენი და არა დამნაშავე უსტინოვიჩიო.

**შუბინსკი,** ოქტომბრისტი, წინააღმდეგი იყო ამისა—შეკითხვა სასწრაფო არ არის, რადგან ფაქტი უმნიშვნელოა, კომისიას კი ბევრი საქმე აქვსო.

**გეგეჭკორიმ** უცნაურად იცნო შუბინსკის აზრი: სათათბირომ რომ შეკითხვა სასწრაფოდ იცნოს, ამით კომისიას არავითარ საქმეს არ მოახვევს კისერზე, რადგან სათათბირო ეხლავე განიხილავს შეკითხვასო. სოც.-დემოკრატებისთვის საყურადღებოა მხოლოდ ის, რომ ეს ფაქტი მთელ რუსეთს ეცნობოსო.

**ტიმოშკინი.** მე მგონია საქმე სხვანაირად იქნებოდა: მასწავლებელმა ალბად სთქვა: „ნუ ყბედობთ მაგ ცოცხალ ენაზეო“, რადგან ქართველები მეტად ჩქარა ლაპარაკობენ. (სიცილი).

სათათბირომ უარჰყო სისწრაფე და შეკითხვა კომისიას გადასცა.

ამავე საღამოთი კამათი იყო მეორე შეკითხვის შესახებ. ეს შეკითხვა წინად შეიტანეს და შეეხება სამხრეთ რუსეთში ალექსანდრე-სვირსკის ეკკლესიის ძვირფას მადნის გროვის ფასად გაყიდვას. კამათი ამ სხდომაზე არ დამთავრებულა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 მარტი.

**საზღვარ-გარედ.**

**სტამბოლი.** რკინის გზაზედ დააპატიმრეს გერმანელი ანარხისტი, რომელმაც თავის თავს იოგანსონი უწოდა. იოგანსონი ოსმალეთის საზღვრებიდან განდევნეს.

**პარიზი.** სენატი ხელმეორედ შეუდგა მოხუცებულთა პატრონობის შესახებ კანონ-პროექტის განხილვას. სენატმა მოიწონა ზოგიერთ დეპუტატების შესწორება, რომლის თანახმადაც კანონის ზოგიერთი მუხლი ვრცელდება იმ უცხოელ მუშებზედაც, რომელთაც საფრანგეთის ქვეშევრდომობა მიიღეს. სენატმა 280 ხმით წინააღმდეგ 3 მიიღო მთელი კანონ-პროექტი.

**პეკინი.** ამერიკელთა სინდიკატის წარმომადგენელნი აჩქარებენ ჩინეთის მთავრობას, რომ მან რაც შეიძლება ჩქარა გადასწყვიტოს ცზინჩოუ-აიგუნის რკინის გზის საკითხი. ჩინეთი გადაჭრილ პასუხს არ იძლევა. ჩინეთის მთავრობას ნამეტან აფიქრებს რუსეთის წინადადება კალგან-კიახტის რკინის გზის გაყვანის შესახებ, რადგან ამ რკინის გზის საგებლობა, სხვა რკინის გზებთან შედარებით, ყველასათვის აშკარა და თვალსაჩინოა.

**ლონდონი.** ლორდთა პალატამ მიიღო როზბერის წინადადება. როზბერის წინადადებით ყველა პერს უფლება არ ექნება ლორდთა პალატის წევრობისა.

**ვაშინგტონი.** საზღვაო უწყების ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 20800,000 მანეთს. განზრახულია აშენდეს ორი ჯავშნიანი გემი, ორი კრეისერი, ხუთი წყალქვეშ მავალი ნავი და ერთიც გემთ-სახელოსნო.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატაში დეპუტატების შეკითხვაზედ გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეიმ განაცხადა ინგლისის მთავრობას არ შეეძლო აქტიური მონაწილეობა მიეღო ჩინ-ჯოუ-აიგუნის რკინის გზის საქმის გადაწყვეტაში, რადგან ჯერ კიდევ, ფორმალურად მაინც, სებობს რუსეთ-ინგლისის 1899 წლის შეთანხმება. ამერიკის მთავრობამ იცოდა ინგლისის მთავრობის შეხედულება ამ საკითხზეო. კონსერვატორი ბულლი გრეის შეეკითხა, რომ არ შეუძლიან მთავრობას განგვიმარტოს, აქვთ თუ არა უფლება რუსეთს და იაპონიას ჩაერიონ ჩინეთის გადაწყვეტილებაში, ინგლისელ და ამერიკელ კაპიტალისტებთან დადებულ ხელშეკრულობის ძალით გაიყვანოს სხვა და სხვა რკინის გზები. გრეის სიტყვით ინგლისის მთავრობის საქმე არ არის ამა თუ იმ სახელმწიფოს უფლებების აღნუსხვა, ან უარყოფა. გრეიმ პალატას ხელმეორედ მოაგონა 1899 წლის შეთანხმება.

**სალონიკი.** ჩრდილოეთ ალბანიაში არეულობაა. დიბრსკსა და მალესიაში, ორ თემს შუა გაცხარებული ბრძოლაა. მდინარე დრინზედ ხიდები გააფუჭეს, დირბში ხალხი თავს დაეცა ადმინისტრაციის სადგომს, უნდოდათ დატუსაღებულთა განთავისუფლება. მონასტრიდან, ოხრიდან, უსკუბიდან და კიჩევიდან გაიგზავნა ჯარი და ზარბაზნები. პლოკის, გუსინიას და მთელი იპეკის მხარის ალბანელებმა უარი განაცხადეს გადასახადების გადახდაზედ და ფულის მომკრეფები გარეკეს. აჯანყებულთა დასამშვიდებლად იპეკიდან და უსკიუბიდან ჯარი გაიგზავნა.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. ახალ თარჯიმანის საშუალებით ჩვენება ჩამოართვეს ვენის პოლიციის უფროსს შტუკკერტს. შტუკკერტის სიტყვით დაპატიმრების დროს პრილუკოვს უთქვამს, ვენეციაში ერთი ნაცნობი ქალის დავალებით ვიყავი, თან მყავდა ორი კერძო მაძებარი, კომაროვსკი უნდა დაგვეცვა ბოლოს და ბოლოს მაინც გამოტყდა და თავის დანაშაულობა აღიარა. შტუკკერტმა ამას დაუმატა: პრილუკოვი ჩვენების ჩამოსართმევად იმ ოთახში შევიყვანე, რომელშიაც ცოტა ხნის წინად ტარნოვსკაია იმყოფებოდა. პრილუკოვმა მოითხოვა სხვა ოთახში გამეყვანა, ტარნოვსკაიას სურნელებათა სუნი მომდის და ერთი სიტყვის წარმოთქმაც არ შემიძლიანო. შტუკკერტის სიტყვით ტარნოვსკაიას მასზედ ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია. ვენელმა ნაფიცმა ვექილმა როზენფელდმა სთქვა: სატუსაღოში პრილუკოვმა სამჯერ განიზრახა თავის მოკვლა. ჩემის აზრით პრილუკოვი ტარნოვსკაიას ხელში უბრალო იარაღი იყოო. ტარნოვსკაიას ნათესავის ქალის სიტყვით ტარნოვსკაია სახლში ყველას უყვარდა. ტარნოვსკაია თავის შვილებს თავს ევლებოდა. ტარნოვსკაიას ქმარი ცუდად იქცეოდა, ლოთობდა და თავის ცოლს ყურადღებას არ აქცევდა; მასმა ძმამ თავი მიტომ მოიკლა, რომ ეგზამენზედ ჩასჭრეს, ამ დროს ტარნოვსკაია ფლორენციაში იმყოფებოდა. პოლიციის აგენტმა პოლაკმა განაცხადა, პრილუკოვი სტიროდა და თან მეხვეწებოდა, შემესუბუქებინა ტარნოვსკაიას ბედი. ჩემის აზრით კომაროვსკის მოკვლა პირველად ტარნოვსკაიამ განიზრახაო. მაძებარ ტრიკარმა, რომელიც პრილუკოვთან ერთად ვენეციაში იყო, უამბო მოსამართლეებს, თუ რა მიზნით გაჰყვა იგი პრილუკოვს ვენეციაში, პრილუკოვის დავალებით თვალყური უნდა გვედევნებინა კომაროვსკის სახლისთვის და თუ კომაროვსკის სახლში რაიმე ხმაურობა ასტყდებოდა, პოლიციისთვის უნდა დაგვეძახნაო დილით, როდესაც კომაროვსკი მოჰკლეს, განსვენებულის სახლთან ნაუმოვის დაპატიმრება გვინდოდა, მაგრამ პრილუკოვმა ხელი შეგვიშალა. რევოლვერის სროლა არ გაგვიგონია, მხოლოდ დავინახეთ რომ კომაროვსკის სახლთან ხალხმა მოიყარა თავი და ჟანდარმები მოვიდნენო. ამის შემდეგ პრილუკოვმა გვითხრა, ჩვენ ვენეციიდან უნდა წავიდეთო.

**სტამბოლი.** თავისუფლების გორაკის მინდორში მოხდა ჯარის აღლუმი. აღლუმს დაესწრნენ სულთანი, მეფე ფერდინანდი—დედოფლით, სულთნის მემკვიდრე, ელჩები, ჟურნალისტები და სხვა. აღლუმში მონაწილეობას იღებდა 29 ბატალიონი, 15 ესკადრონი და 18 ბატარეია. აღლუმს განაგებდა მაჰმუდ-შეფკეთ-ფაშა. აღლუმის დროს ორი ინცინდენტი მოხდა: ცხენიდან ჩამოვარდა იტალიის სამხედრო აგენტი ელია და ქარმა სულთნის კარვიდან მოჰგლიჯა შტანდარტი, რის შემდეგ ბოლგარიის მეფის შტანდარტიც ჩამოხსნეს. აღლუმის შემდეგ ფერდინანდი დაესწრო დეპუტატთა პალატის სხდომას.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატის სხდომები 16 მარტამდის გადაიდო. ამ დღიდან პალატა განიხილავს მთავრობის რეზოლიუციებს ლორდთა პალატის უფლებათა შეზღუდვის შესახებ.

**ს პ ა რ ს ე თ ი**

**თეირანი.** რადგანაც მთავრობამ ვერ მოახერხა შინაურ სესხის აღება, ამიტომ შინაურ სესხის აღების ინიციატორები ფინანსთა და იუსტიციის მინისტრები და სანიუდ-დოულე სამსახურიდან გადადგნენ. მოსალოდნელია სხვა მინისტრების გადადგომაც. შაჰის ძვირფას ნივთების დამფასებელმა წინადადება მისცა მთავრობას, ამ ნივთებს ვიყიდიო, რამაც ეჭვი დაუბადა მთავრობას, რომ დამფასებელს შაჰის ძვირფასი ნივთები სამართლიანად დაეფასებინოს.

**რ უ ს ე თ ი**

**იაკუტსკი.** პოლიციამ გაჩხრიკა საფერშლო სკოლის მოწაფის, იაკუტის სახლი. მის სახლში იპოვეს დაუმთავრებელი ყუმბარა და ყუმბარების მოსამზადებელი მასალა.

**ნოვოროსიისკი.** სასამართლო შეუდგა ეგრედ წოდებულ „ნოვოროსიის რესპუბლიკის“ საქმის განხილვას.

**ჰელსინგფორსი.** იარაღის ქარხნის კანცელარიაში აღმოაჩინეს, რომ ხაზინიდან ყალბის დოკუმენტებით 3577 მანეთი გამოუტანიათ. მაძებარმა პოლიციამ გამოიკვლია, რომ ქარხნის წიგნიდან ვიღაცას ამოუხევია ფურცელი. ამ ფურცელზედ ხაზინის გამგეს ხელი ეწერა, რომ ქარხანამ 3577 მანეთი წაიღოვო. ხაზინისგან დაბრუნებული ტალონი ქარხნის კანცელარიაში არა სჩანს.

**რომანოვო-ბორისოგლებსკი.** სასამართლო ხელმეორედ არჩევს რიბინსკის ბავშვთა თავშესაფარის დირექტორის, მაკაროვის საქმეს. ბრალდება მცირე წლოვან ქალიშვილთა გაუპატიურება. სასამართლომ მაკაროვს პირველად 8 წელიწადი კატორგა მიუსაჯა. მაკაროვმა სენატში განასაჩივრა სასამართლოს დადგენილება და სენატმა სასამართლოს მაკაროვის საქმე ხელმეორედ განსახილველად გადასცა.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე-იმპერატორმა მიიღო სახელმწიფო სათათბიროს ახალი თავმჯდომარე გუჩკოვი.

# ჩვეულებრივი ამბავი

დეპეშათა სააგენტომ გუშინ, 10 მარტს, ერთი მეტად საინტერესო და საგულისხმიერო ამბავი გადმოგვცა. იქნებ ბევრმა ყურადღებაც კი არ მიაქცია ამ ამბავს. მე მოგახსენებთ კავკავიდან გადმოცემულ ამბავს: „ცხვრის ფარების პატრონს მამონტოვს, ცხვრის ფარების პატრონების კრების თავმჯდომარეს, გაჩხრეკის დროს უპოვნეს ხუთი მუქარის წერილი სხვა და სხვა პირის (ცხვრის ფარის პატრონების) სახელზე. ეს წერილები თვით მამონტოვის ხელით დაწერილი აღმოჩნდა, მაგრამ ქვეშ ზელიმ-ხანის გვარია მოწერილი, ვითომდა ეს უკანასკნელი ჰგზავნიდა“.

ვინც საქმის ვითარება არ იცის, ვერაფერს გაიგებს. ამ ბოლო დროს განა ამისთანები ხდება? განა ეხლახან არ გაასამართლეს ბაქოში მილიონერი მემამულე თათარი, რომელიც შარა-გზაზე საწყალ ხალხსა

სცარცვავდა; სცარცვავდა იმიტომ კი არა, რომ ფული ესაჭიროებოდა, —მილიონერს საწყალი ხალხის გროშები რას შემატებს! არა, მილიონერი ცარცვა—გლეჯაში რაღაც სიამოვნებასა და თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, სულის კმაყოფილებას ჰპოვებდა. რატომ არ შეიძლება მამონტოვიც სწორედ ასე მოქცეულიყო? მდიდარი კაცი, ცხვრის ფარების პატრონი, კრებს თავჯდომარე, მუქარის წერილებს სწერს თავის ამხანაგებს; ცნობილ ყაჩაღის ზელიმ-ხანის სახელით და განა შესაძლებელი არ არის, რომ მამონტოვიც ამაში მილიონერ მემამულესავით „სულის კმაყოფილებას და სიამოვნებასა" ჰპოვებდეს? მართლაც და იგი ცოტა არ იყოს, „სიამოვნებაა" ამხანაგი, მოატყუო, შიშის ზარი დასცე და შენ კი გულში იცინოდე?

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ძაღლის თავი სულ სხვაგან მარხია და მამონტოვი „სულის კმაყოფილებასა და სიამოვნებას" სულ სხვა რამეში ჰპოვებდა.. „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" და „ნოვოე ვრემია"-ს ნდობით აღჭურვილი მამონტოვი მუქარის წერილების მიწერით „უმაღლეს სახელმწიფოებრივ პოლიტიკას" აწარმოებდა: მთავრობას აცნობებდა, რომ „ინოროდცებმა" სულ ერთიანად გაანადგურეს „ნამდვილი რუსები", ფეხს აღარ ადგმევინებენ და სხვა. ყველას ეხსომება ამ ვაჟბატონის და მისი ამხანაგების მიერ ატეხილი აურ-ზაური, პეტერბურგში დეპუტაციის გაგზავნა, „ნოვოე ვრემიას" და „რუსკ. ზნამიას" ჭექა-ქუხილი „გათამამებულ ინოროდცების" წინაამდეგ, ადგილობრივ უმაღლეს მთავრობის ლანძღვა-გინება უმოქმედობისა, ინოროდცების „გათამამების" და „ნამდვილ" რუსთა ინტერესების „დავიწყებისათვის"! ეხსომება ისიც, რომ სტოლიპინმაც კი დახმარება აღუთქვა „დაჩაგრულებს" და სახელმწიფო სათათბიროს ოქტომბრისტების ფრაქციის ლიდერი გუჩკოვი ამ ფაქტით ძალიან „აღელდა", პურიშკევიჩმა ფიცი-აღთქმა დასდო, რომ „გათამამებულ" „ინოროდცებს" სეირს აჩვენებს, დედას უტირებს და სხვა ბევრი ამისთანა.

თურმე ნუ იტყვით საქმე სულ სხვანაირად ყოფილა და „ინოროდცების" მაგიერ შავრაზმელები გათამამებულან. ნათლად გამოირკვა, განაპირა ქვეყნებში რა „სახელმწიფოებრივ" პოლიტიკას აწარმოებენ კაცთ-მოძულე და გარყვნილ-გათახსირებული შავრაზმელები. თავ-გზა დაბნეულები, კაცთ-მოძულეობით აღვსილნი და უღმერთო ადამიანნი, შინაც და გარედაც მოძულებულნი, სხვის დაჩაგვრასა და ცილისწამებაში ჰპოვებენ სიამოვნებას და რეაქციონერის ნდობას.

რამდენიმე წელიწადია, დიდ ტანჯვაში არიან თერგის ოლქის მკვიდრნი ჩაჩნები და მათთან ერთად სხვებიც. თერგის ოლქში რამდენიმე რუსი მეცხვარეა. ამათ ათასობით დესეტინა უჭირავთ, ვინ იცის, როგორ დასაკუთრებული, და ათი ათასობით ცხვარი ჰყავთ. მაგრამ ეს არ აკმაყოფილებთ და უნდათ მთელი ოლქის ხელში ჩაგდება, ხოლო ადგილობრივ მკვიდრთა აყრა და გადასახლება. ამისთვის შემდეგ ხერხს მიმართეს. ყაჩაღობა დღევანდელ ვითარებაში ჩვეულებრივი მოვლენაა, მით უფრო გავრცელებულია იგი ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც რუსების ჩასახლებით ძალზე შეავიწროვეს ადგილობრივი მკვიდრნი. მაგრამ ზემოხსენებულმა ვაჟბატონებმა ყაჩაღობა ერთი-ათად გააზვიადეს და ამას გარდა მთელ ქვეყანას მოჰფინეს, რომ ეს უბრალო ყაჩაღობა კი არა, ეს მთელი პოლიტიკაა ადგილობრივ მკვიდრთა, რომელნიც რუსებსა სდევნიანო. გაიტანეს კიდეც თავისი. მთელი ექსპედიციები და ეკზეკუციები დაანიშნინეს მთავრობას. ადვილად მიჰხვდებით, რა დღე დაადგებოდათ უიმისოდაც დაჩაგრულ მკვიდრთ.

და, აი, ეხლა რა გამოირკვა: თურმე თითონ ცხვრის პატრონნი ადგენდნენ მუქარის წერილებს ყაჩაღის ზელიმ-ხანის და სხვათა სახელით და უგზავნიდნენ ერთმანეთს. მერე ამ წერილებს პოლიციას უდგენდნენ—ნახეთ, რა დღეს გვაყრიან „ტუზემცებიო". ეს ვაჟბატონები, ცხვრის პატრონები, შავრაზმელების ორგანიზაციაში იყვნენ.

დარწმუნებულები უნდა ვიყვნეთ, რომ ამ ფაქტს შავ-რაზმელები არაფრად ჩააგდებენ და კვლავინდებურად „გათამამებულ ინოროდცების" ლანძღვა-გინებაში გაატარებენ თავიანთ სიცოცხლეს. არც ის გვჯერა, რომ მამონტოვი კანონისამებრ დაისჯოს. ბევრი ამისთანა მომხდარა; მაგრამ დამნაშავენი „გაუმართლებიათ" და ხელმეორედ საპარპაშოდ გამოუშვიათ...

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ეკატერინე გაბაშვილის იუბილეი.** წელს, როგორც ვიცით, შესრულდა ორმოცი წელიწადი, რაც ეკატერინე გაბაშვილისა სალიტერატურო ასპარეზზე ილვწის. წ.-კ. საზოგადოების გამგეობასთან არსებულ ქალთა კომისიის ინიციატივით უკვე შესდგა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელმაც უნდა მოაწყოს საიუბილეო დღესასწაული. დღესასწაული გაიმართება შემოდგომაზე, ოქტომბერში. განზრახულია, ეს იუბილეი არა ჰგავდეს ჩვეულებრივ იუბილეებს. სხვათა შორის, გადასწყვიტეს შემოდგომისთვის გამოსცენ ორ ტომად საუკეთესო თხზულებანი იუბილიარისა; ოქტომბერში გაიმართოს სალიტერატურო დილა, წაკითხულ იქნას რეფერატი ეკ. გაბაშვილის შემოქმედებაზე, დაიდგას ცოცხალი სურათები იმის ნაწარმოებიდან და სხვა. განზრახულია მილოცვები არ იყოს.

✦ **კიდევ მატარებელზე თავდასხმის შესახებ.** როგორც გუშინ ვწერდით, საჯევახოსა და ნიგოითს შუა ვილაცები დაეცნენ მატარებელს. გაგზავნილი ჯარი დაუყოვნებლივ შეუდგა თავ-დამსხმელთა ძებნას. უკვე შეუპყრიათ 13 კაცი. უპოვნიათ ერთი ბერდანა.

✦ **გადასაჯდომი ბილეთები.** ტფ. ქალაქის გამგეობას მოწვეულ პირთა თანადასწრებით ამას წინად თათბირი ჰქონდა ტფ. ტრამვაის გადასაჯდომ ბილეთების წესის შეცვლის შესახებ. დირექტორი ეკითხება ეხლა გამგეობას, როდის შეიტანთ საბჭოში მოხსენებას ამ საკითხის შესახებაო. ამასთან დირექტორი აღნიშნავს, რომ უსახელო საზოგადოება ძალიან ჩქარობს ამ საკითხის გადაწყვეტას, რადგან ეხლანდელი წესი საზარალოა საზოგადოებისათვისაო, დასასრულ ბატაილი ემუქრება ქალაქის გამგეობას, თუ ამ საკითხის გადაწყვეტას დააგვიანებთ, ჩვენ ისეთს წეს შემოვიღებთ, რომელიც ხელშეკრულების შინაარსს ეთანხმებაო.

✦ **სარევიზიო კომისია.** ოთხშაბათს, 11 მარტს, მოხდა სხდომა ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიისა ახალ თავმჯდომარის ხმ. სტ. ჭრელაშვილის თავმჯდომარეობით. სარევიზიო კომისიამ შეიმუშავა გეგმა მომავალი მუშაობისა. ამ გეგმით კომისია შეუდგება 1908 წლის ანგარიშის განხილვას და როდესაც დაამთავრებს, დაიწყებს ფაქტიურად შემოწმებას ქალაქის კასისას და თვითმართველობის ყველა დაწესებულების საქმეთა წარმოებისას. კომისია ამავე დღეს შეუდგა 1908 წ. ანგარიშის განხილვას. შემდეგი სხდომა 17 მარტს მოხდება. კომისიამ დაადგინა, მოსთხოვოს გამგეობას შემდეგი ცნობები: რამდენია ქალაქში მამული, რომლებზედაც შეწერილია დასაფასებელი გადასახადი და რამდენი მამულია ამ გადასახადებისაგან განთავისუფლებული.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა.** როგორც ვიცით, ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის სადგომი ლორის-მელიქოვის ქუჩაზე უხეირო შენობაშია მოთავსებული. ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღსძრა ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოს წინაშე, რომ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და შეუდგეს კანტორის შესაფერ შენობაში გადატანას.

✦ **მტკვარში გადავარდნა.** 10 მარტს, შუადღის 12 საათზე, თავის დასახრჩობად ვორონცოვის ხიდიდან მტკვარში გადავარდა ტფ. ნერსესიან სემინარიის მე-7 კლასის მოსწავლე ალაჯან ალამეკიანცი, ყმაწვილს ჩაეშველა კარაპეტ ტოროსოვი და გადაარჩინა.

✦ **რევიზია.** „რეჩი"-ს სიტყვით, იუსტიციის მინისტრის განკარგულებით, ამ მოკლე ხანში მოხდება რევიზია კავკასიის სამოსამართლო დაწესებულებებისა.

✦ **მკითხავის ოინები.** ჩისტოპოლის მცხოვრებს, გასათხოვარ ქალს, ხელობით მკერვალს, ანნა რუდკოვას გათხოვება განუზრახავს და რადგან გაუგია, რომ გოგოლის ქუჩაზე (№ 4) სცხოვრობს მკითხავი ქალი, რომელიც აჩერხებს ქალების გათხოვებასაო, წასულა მასთან ბედის საცდელად. რუდკოვას მკითხავისათვის მიუცია 30 მან. მკითხავი ამ საჩუქარს არ დასჯერებია და მოუთხოვნია 115 მანეთის ნივთები. როდესაც საქმეს გავათავებ, ნივთებს უკანვე დაგიბრუნებო. რუდკოვას მიუტანია 70 მანეთის პლუშის ტანთსაცმელი, 24 მანეთის აბრეშუმის მატერია, ოქროს ჯვარი, ცხვირსახოცები, ჩულქები და სხვა. მეორე დღეს ქალი ამბის შესატყობად მისულა. აღმოჩენილა, რომ მკითხავს მოუხვეტია ნივთები და კავკასიისაკენ წასულა. მკითხავის, ევდოკიმე დიმიტრიევის, დასაპატიმრებლად პოლიციამ ზომები მიიღო.

✦ **თანამდებობაზე დამტკიცება.** საქართველოს ექსარხოსმა დაამტკიცა თანამდებობებზე სამღვდელოების მიერ არჩეულნი: ტფ. საეპარქიო სანთლის ქარხნის გამგედ—მღვ. მიქელაძე და საქმის მწარმოებლად—მღ. ნათიძე.

✦ **ბირჟა ბათუმში.** ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო დაარსდეს ბათუმში ბირჟა.

✦ **ფულის გადადება.** „ტფილ. სობრანიეს" მამასახლისთა საბჭომ თავის თანხიდან გადასდო: 300 მან. სომხურ საქველმოქმედო საზოგადოების, ხოლო 50 მ. სომხურისავე საზოგადოების „ლუის"-ის სასარგებლოდ.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა დაავალა მე-4 და 5 ნაწილის ბოქაულებს, რადგან ბოტანიკური ბაღი გაიხსნა 15 ოქტომბრამდე ხალხის სასეირნოდ, საჭიროა ყოველ დღე ბაღში მშვიდობიანობა წესიერების დასაცველად პოლიცილები გაგზავნოთ ხოლმე, ნაშუადღევის 4 საათიდან საღამოს 9 საათამდეო.

✦ ველაბარში აქამდე იჯარით იცემოდა ქალაქის ადგილი, ესრედ წოდებული ვორონცოვის ფერმა, სადაც 30 წელიწადი აგურხანები იყო გამართული. რადგან ამ ადგილების გარშემო მჭიდროდ დასახლდა ხალხი და სააგურე ადგილი აღარ იყო, მეაგურხანების უმრავლესობამ შესწყვიტა წარმოება. დარჩა მხოლოდ ორი მოიჯარადრე. აღნიშნულ უბნის მცხოვრებლებმა საერთო თხოვნა შეიტანეს ტფ. ქალაქის გამგეობაში—გააუქმეთ აგურხანები ვორონცოვის ფერმაშიო. გამგეობამ ქალაქის ტეხნიკოსსა და მიწის მზომელს დაავალა ადგილის დათვალიერება.

✦ ტფილისში 10 მარტს შემდეგი ამბები მოხდა: მადათოვის კუნძულზე ჩხუბის დროს ანტონ ხარაზაშვილმა მრეცხელი ქალი ნატალია სპირიდონოვისა დანით დასჭრა ზურგში. ხარაზაშვილი დააპატიმრეს. ორბელიანის ქუჩაზე მცხოვრებ სატინიკა ედიგაროვისთვის ქურდებს მოუპარავთ 270 მანეთის ნივთები. ბოტანიკურ ბაღში, ნაშუადღევს 2 საათზე, დუშეთის მცხოვრებმა ვასილ იმედაშვილმა დანით სასიკვდილოდ დასჭრა დარია გოგიაშვილი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. იმედაშვილი დააპატიმრეს. ამავე დღეს დიდი ვანქის ქუჩაზე დააპატიმრეს ვასილ ანისიმოვი, მსახიობი. ანისიმოვმა განაცხადა, სამხედრო ბეგრის თავიდან ასაცილებლად დასჯილ ვიქმენ. და კარგა ხანს ციხეში ჯდომის შემდეგ ამას წინად გამანთავისუფლე ქუთაისის საპატიმროდანაო. ჩხრეკის დროს პოლიციის მე-5 ნაწილში დააპატიმრეს 11 უპასპორტო კაცი.

✦ 9 მარტს, შუადღის 12 საათზე გოლოვინის პროსპექტზე შემდეგი უბედური შემთხვევა მოხდა: ოლგას ქუჩიდან გამოქანებული მოდიოდა ავტომობილი, რომელსაც ჰრთავდა შვეიცარიის ქვეშევრდომი სეიფორტი. ავტომობილში იჯდა აგრეთვე ლგოტაკი. რადგან ავტომობილს ტორმოზი გაფუჭებული აღმოაჩნდა, იგი ქავთაძის ქუჩასთან ქვა ფენილზე ავარდა და წააქცია შემთხვევით გამვლელნი ლევ ბურთი, რომელსაც ჩაუმტვრია გვერდები და მოსტეხა ფეხი, დაშავდა აგრეთვე სპარსეთის ქვეშევრდომი ალი ალაკერ ოღლი. ავტომობილი შემდეგ დაეტაკა ხუნდრუსის პურმცხობლის მაღაზიას და ალეწა ფანჯრები, ავტომობილის მართველი სეიფორტი და ლგოტაკიც დაშავდნენ. ავტომობილი საკუთრება ყოფილა ავსტრიის ქვეშევრდომის ვიქტორ მარტუშესის, რომელსაც ამ ავტომობილის მიმოსვლის ნებართვა არა ჰქონია.

## ცნობილი ამბები

**დაბ. ხაშური.** ჩვენი უმთავრესი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ვისაც რამის გაკეთება შეუძლიან, ის გულხელდაკრეფილი ზის ან „ბაკარას" თამაშობს, ხოლო ვისაც არ შეუძლიან, ის კიდევ სხვას შესცქერის და ხანგრძლივ მოლოდინში გული ელევა. ავიღოთ მაგალითისთვის აქაური მასწავლებლები. ისინი მთელ დროს ატარებენ უსაქმურობაში, უკაცრავად, ბანქოს თამაშში, და ამას სჩადიან მაშინ, როდესაც მეტი ძალა, მეტი მხნეობა და საქმის უნარია საჭირო იმ საქმეში, რომლის სულის ჩამდგმელებადაც იგინი არიან მოწვეულნი. რეაქციამ ჩვენი დაბაც არ დასტოვა უყურადღებოდ. გაჰქრა ყოველისფერი კარგი და გამეფდა მტრობა, შური, გაიძვერაობა, ერთმანეთის გაუტანლობა, ბეზღობა. ახალგაზრდობამ და მუშა ხალხმა დაივიწყა ის, რასაც ოდესღაც ეტრფოდა. ნარდ-ბანქო-ლოტო-ნუნუა—აი, რამ დაიჭირა „ძმობის, ერთობის, თავისუფლების" ადგილი. ბილიარდს ხომ ნუღარ იტყვით: მას თამაშობს დიდი და პატარა, ხელოსანი და ვაჭარი, ალი და ნოქარი, მდიდარი და ღარიბი და რაც აბადია, იქ აგებენ და ამას გარდა იწამლებიან საბილიარდო ოთახის დამშალ ჰაერით.

ყველა ამ სიბინძურიდან „ჟგიდთა" ხსნა შეეძლოთ ადგილობრივ სასწავლებლების მასწავლებლებს, რომელნიც ხაშურისთვის საკმაო ძალას წარმოადგენენ, მაგრამ ვაი რომ თვითონ ისინი სხვებს არაფერში ჩამოუვარდებიან, ხოლო ბანქოს თამაშში პირველი „პრიზიც" ეკუთვნით. დროა უნდა მაინც გამოფხიზლდნენ და კულტურულ მუშაობას მიჰყონ ხელი. დღეს, როდესაც გარეგან რეაქციასთან ერთად გამეფებულია რეაქცია სულიერიც, ინტელიგენცია, „მარილი ქვეყნისა", ზნეობრივად გახრწნილი საკუთარის მკერდით გაიტანოს თავის მშობელი, აღმზრდელი და მასაზრდოებელი საზოგადოება. აქაურმა მასწავლებლებმა და სხვა ინტელიგენტებმაც უნდა უგუნურობის მცონარეობა და ხელი მიჰყონ სახალხო საქმის მტკიცე ნიადაგზე დაყენებას. მით უმეტეს კარგად ხედავენ, რომ „კეთილი" ხმა მათი არა რჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა" და მუდამ ადგილობრივ მუშების გულში მუდროდ და ნაყოფიერ ადგას ჰპოულობს. თითქმის მუდამ კვირა იმართება საცეკვაო საღამოები. ნუ თუ უკეთესი არ იქმნებოდა ამის მაგიერ ემართათ საკვირაო კითხვები, სალიტერატურო საღამოები, კონცერტები, ხეირიანი წარმოდგენები, სადაც მუშებსაც ექნებათ ადგილი, ან და, თუ თავისას არ მოიშლიან, ხომ შეიძლება იმართებოდეს ზემოხსენებულის მაგვარი რამ ცეკვა-თამაშით და სხვა გასართობით? ამითი სამსახურს გაუწევენ ადგილობრივ „მოტანცავე საზოგადოებასაც" და „დაბალ" ხალხსაც გონების საზრდოს მიწოდებით. არც მგელი დაიწვის და არც შამფური.

მერწმუნეთ ბევრს იხსნით მოლოდინზე გზიდან, დაღუპვისაგან, ბევრს ჩამოაშორებთ სამიკიტნოს, საბილიარდოს, აღარ იქმნება იმდენად მაინც ის სისაძაგლე, ის გარყვნილება, ის ჯაშუშობა-ხულიგანობა, რომელსაც ეხლა თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მკვიდრთა ცხოვრებაში.

**ერედველი.**

**კავკავი.** 21 თებერვალს ქართულ სკოლის დარბაზში მოხდა საზოგადო კრება ქართველთა საკრედიტო ამხანაგობისა წლიურ ანგარიშის მოსასმენად და წევრების ამოსარჩევად გამგეობაში. კრებას დაესწრო სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილების მმართველი ბ-ნი ბატიუშკოვი. ანგარიშიდან აღმოჩნდა შემდეგი. ბანკი დაარსებულა წარსულ წლის 27 აგვისტოს; მაშასადამე, საანგარიშო ხანა შეადგენს 4 თვეს. დაარსებისას ამხანაგობას ჰყოლია 85 წევრი; 4 თვეში მეჰმატებია კიდევ 89 წევრი. ამხანაგობის ძირითადი თანხა, შემოწირულობით შედგენილი, შეადგენს 3046 მანეთს; მობარებული ფული ყოფილა 5040 მან., კერძო პირებიდან ამხანაგობას უსესხნია 1000 მან. საანგარიშო წლის დამლევს გასესხებული ჰქონია ამხანაგობას 8328 მან. 4 თვეში ამხანაგობას შემოსვლია სარგებელი 332 მან. ხარჯის (საკანცელარიო ხარჯი, სახლის ქირა, შეშა, ნავთი, ნასესხებ ფულის სარგებელი) დაფარვის შემდეგ ამხანაგობას დარჩენია წმინდა 131 მან. აქედან სათადარიგო და ძირითად თანხების გასაძლიერებლად, პროცენტების გადადების შემდეგ, გადარჩენილი ფული 42 მანეთი საზოგადო კრებამ, ამხანაგობის წესდების თანახმად, ქართულ სკოლის საკუთრებად დაამტკიცა და საკრედიტო ამხანაგობაშივე დასტოვა საპროცენტოდ. ყველა მოვალეს დანიშნულ ვადაზე და სრულად შეუტანია სესხი.

კრებამ დაამტკიცა მომავალ წლის ხარჯ-აღრიცხვა, რომელშიაც შეიტანილ იქნა ახალი ხარჯი—ბუხჰალტერის ჯამაგირი—120 მ. წელიწადში. ამის შემდეგ კრებამ კენჭით გამოსული წევრები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა ხელმეორედ აირჩია.

საზოგადო კრებამ გამგეობას და სარევიზიო კომისიას მადლობა გამოუცხადა საქმის კარგად დაყენებისთვის.

ამგვარად, დღეს პირველად ჩნდება კავკავის ქართულ სკოლის არსებობის მკვიდრი წყარო. სკოლას უჩნდება მუდმივი წყარო არსებობისა. მართალია, სკოლის 5000 მანეთიან ბიუჯეტში 42 მანეთი სახსენებელი არ არის, მაგრამ თუ მივიღებთ სახეში, რომ ეს პირველი ნაბიჯია ჯერ, რომ ქართულ ბანკს უეჭველი მომავალი აქვს კავკავში, მაშინ ჩვენი იმედი სრულიად საფუძვლიანი იქნება.

ქართულ ბანკს ბლომად ჰყავს მუშტარი, ბევრი საჭიროებს მას და თუ ისეთი ხელმძღვანელები არ მოაკლდნენ როგორნიც დღესა ჰყავს, სწრაფად გაიზარდება. კავკავში ქართველი ბლომად არის, რომელნიც წვრილ წარმოებას ეწევიან: წვრილი ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, მიწის მუშები, რომელნიც ხევიდან და მთიულეთიდან უმიწა-წყლობას გამოჰქცევიან, იჯარით მიწები აუღიათ კავკავის მიდამოებში და აქ მოსახლეობენ, ტყის მუშები, რომელნიც ან თითონ გაჭრიან შეშით, ან სხვის შეშას ეზიდებიან თავიანთ ცხენ-ურმით, მებაღეები, მეაგურეები, ერთის სიტყვით, ისეთები, რომელნიც ხელგამოსავლიან შრომას ეწევიან. ამათთვის წვრილი საკრედიტო დაწესებულება ძალიან საჭიროა და ბანკიც ამათგან ხეირს ნახავს.

ამხანაგობა შუამდგომლობს 1000 თუმნის სესხს სახელმწიფო ბანკის განყოფილებიდან. იმედი აქვს სესხის მიღებისა, რადგან მთავრობამ საუკეთესო შთაბეჭდილება გამოიტანა ამხანაგობის საქმეების რევიზიიდან.

**X X.**

## ქუთაისის რამე-რუმე

ცოდო გამომჟღავნებული სჯობია: ქუთათურებს დიდ-მარხვა არ უყვართ. მე რომ იმათ ვიცნობ, არც გასამტყუნარნი არიან. ბუნებას მათ გულში ხიარულების თესლი ჩაუნერგია, ხოლო დიდ-მარხვას თან უნდა სდევდეს სიდინჯე, სიწყნარე და მყუდროება. ამ დროს თავდება წარმოდგენების სეზონი. იკეტება ელექტრონის თეატრის კარები. აღარა ისმის-რა „ტანცი-მანცისა" და „ბალ-მასკარადებზე", და რაც ყველაზე უფრო ძნელი დასათმობია—ჩუმდება ცირკში ზურნის ჰყიპინი,—ნიშანი მოჭიდავეთა ბლარძუნობის დაწყებისა. ერთის სიტყვით, დგება ხანა მოწყენილობისა, უხალისობისა და მთქნარებისა...

* *

არ ამთქნარებს თურმე ასეთ დროს ბ-ნი ლისოვსკი. მას მშვენივრად ჰქონია შეგნებული ეს გარემოება. შეურჩია დრო, ე"ტუმრა ქუთაისს ამ მოწყენილობის კვირაში, და ოთხი ლექციიდან ერთი ვეებერთელა გემრიელი ქადა გამოაცხო. ეცოდებ ლოგნოკი ცოტანი დარჩნენ ისეთნი, ვინც ამ ლექციაზე არ ზიარებულიყოს. თვით სასულიერო მოძღვრებმაც კი გაუგეს გემოვ ამ ელოდების და ოთხსავე ლექციაზე თეატრი სავსე იყო მსმენელებით. მართალია, რუსი საზოგადოება მეტად გულგრილად შეხვდა ამ ლექციებს, მაგრამ, სამაგიეროდ ქართველებმა დაუჭირეთ მხარი და თუ ზოგიერთი ყურით ხედავდა და თვალით უსმენდა ლექტორს, ეს მაინცა და მაინც არაფერია.

როგორც გავიგე, ბ-ნი ლისოვსკი ეხლა მეხუთე ლექციის წაკითხვას აპირებს ამ სათაურით: „მოულოდნელი შედეგი".

* *

რაც მოხდა, ის შეიძლება ბ-ნ ლისოვსკისთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ ჩვენ კი კვირის სახალხო ქართულ ლექციას კარგა ხანია რაც მოველოდით, რადგან ძნელია თუ ერთხელვე საქმე გაციების გზას დაადგა, საშიშოა ანთებად არ გადაიქცეს.

კვირის ლექციაზე ბ-ნმა ქავთარაძემ გააცნო აუდიტორიას „კაპიტალის წარმოშობის ისტორია" ხოლო ბ-ნმა გარსევანიშვილმა „მეფე თეიმურაზ მეორის დრო და ცხოვრება".

ვისაც თავისი წვლილი შიაქვს სახალხო უნივერსიტეტის საკურთხეველზე, ყველას თანაგრძნობა და მადლობა ეკუთვნის, მაგრამ არც ის იქნება სათაკილო, რომ ზოგიერთი მოსაუბრე ზეპირად გადმოცემის ნაცვლად, ხელნაწერით ისარგებლებდეს ხოლმე, სანამ ლისოვსკებურად გაილესავდეს ენას. მანამდე-კი...

* *

ნუ აჩქარდებით, მოვითმინოთო, მეტყვით ალბად თქვენ, მაგრამ როდემდის, ბატონებო?! აგერ ნახევარი წელიწადი მიდის და არაფერი ჩამიჩუმი არ ისმის. იცით-კი რაზე მოგახსენებთ?!, მეც თქვენსავით გადამავიწყდებოდა ეს გარემოება, რომ ხშირად არა ვჭვრეტდე იმათ გაკვირვებულ სახეებს, ვისაც შარშან გამართულ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჰქონდა რაიმე წარდგენილი.

ყველაფერს ეღირსება ადამიანი, მაგრამ იმის გაგება, თუ ვის რა მიუსაჯეს ან ვინ რითი დააჯილდოვეს, ვერ იქნა, ვერ ვეღირსეთ. არა ეშველარა ანგარიშის გამოქვეყნებას, ერთად-ერთი ხალისი ჰქონდა შერჩენილი ამ ნეტარხსენებულ გამოფენას, და ისიც ამ დაუსრულებელ მოლოდინში სანახევროდ განიავდა.

ნუ დაჰკარგავთ იმედს, ბატონებო: თუ ჩვენ არა, იქნებ ჩვენს მემკვიდრეებს მაინც მოესწროთ ბ-ნ მკურნალის მიერ ნაბოძები ქების ფურცლები...

**ჯაფარ-ფაშა.**

## პატარა ფელეტონი

### ამონაკვნესი

V

**ყვავილები**

(სუსტი ქალის დღიურიდან).

ჩვენს გულში წითელი ყვავილები ყვაოდა. მაინც დავბრუნდი სახლში. პატარა ქუჩა, დაკეტილი ორი კარი ვერ გვაშორებდა ერთმანეთს. უძლეველმა, განუზომელმა, უსაზღვრო მახრჩობელმა—ხმამ ერისამ, ქორმა გაგვთიშა... თორემ იქ ვიქნებოდი, მიმაფრენს სულს ჩემს ტანჯვის თოკით დავიჭერდი.

იქ იყო თეთრი ყვავილები. მათ შორის კვდებოდა, წვალობდა. ერთი ხელი მსურდა მომეხვია. ეს სიამოვნება მაინც გაჰყოლოდა. ჩემი სახელის დაძახება ყველაფერს ერჩია. გულში ყვაოდა წითელი ყვავილები, მაგრამ უძლეველი, განუზომელი, უსაზღვრო მახრჩობელა—ხმა ერისა, ქორი საფლავშიაც თან ჩაჰყვებოდა. უძლეველი განუზომელი, უსაზღვრო მახრჩობელა—ხმა ერისა, ქორი არ დამიტოვა მეც სახსოვრად... ამიტომ იყო იქ მხოლოდ თეთრი ყვავილები.

წვალობს, უკანასკნელი სულთა თქმა ამოსდის. წავალ! გაყვითლდენ, შემურონ, გააშავონ წითელი ყვავილები. უძლეველი, განუზომელი, უსაზღვრო მახრჩობელა—ხმა ერისა, ქორი აბობოქრდეს! ჩემი დაძახება სურს. ენას, ტუჩებს იკვნეტს!.. არა, არ წამოვალ!.. იქ იყოს თეთრი ყვავილები.

მოკვდა თეთრ ყვავილებში.

შორი-ახლოს მივყვებოდი კუბოს. დინჯად ვიყავ. არაფერი მეტყოდა... იქ იყო მხოლოდ თეთრი ყვავილები. ორივეს გულში ყვავილები ძველებურადვე წითელია.

გაასვენეს. დაასაფლავეს. უძლეველმა, განუზომელმა, უსაზღვრო მახრჩობელი—ხმამ ერისამ, ჭორმა თეთრის ვარდებით შეამკო საფლავი.

თეთრი ყვავილები... წითელი ყვავილები...

**ნ. ლორთქიფანიძე.**

# უცხოეთი

**აგრარული მოძრაობა საბერძნეთში.**

დეპეშიდან ვიცით უკვე, რომ ათინაში მივიდა დეპუტაცია თესალიელ გლეხკაცთაგან, რიცხვით 120 კაცი. დეპუტაცია სთხოვს პარლამენტს, რომ სასადგილ-მამულო საკითხი თესალიაში მალე გადასწყდეს და მიწები ძალდატანებით შესყიდონ მემამულეებისაგან. დეპუტაციამ ძლიერ დააფიქრა საბერძნეთის მთავრობის წრეები.

თესალიაში, ისე როგორც საბერძნეთის სხვა კუთხეში, მიწა მომეტებულ ნაწილად ეკუთვნის მსხვილ მემამულეებს, მონასტრებს და სახელმწიფოს. გლეხები მუშაობენ სხვისა მიწას და ამიტომ მეტად გაჭირვებულ ყოფაში არიან. თესალიელი გლეხები აქამდე ჩუმად იყვნენ; ეხლა კი, როდესაც საბერძნეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილება შეირყა და განახლებას დაამობს, გლეხებმაც ხმა ამოიღეს და თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესობა მოინდომეს.

დეპუტაციამ შემდეგი მოითხოვა წარუდგინა პარლამენტს: 120 მამული ლარისის ოლქში და 80 მამული ტრიკალისა და კარიცის ოლქებში უნდა ძალით ჩამოერთოს მემამულეებს და გლეხებს გადაეცეს: მემამულეებს უნდა მიეცეს ფული დაფასების დაკვალად. სახელმწიფომ ეს ფული ერთბაშად უნდა გადაუხადოს მემამულეებს, ხოლო გლეხებმა რამდენიმე ათი წლის განმავლობაში უნდა შეიტანონ ხაზინაში ესევე ფული.

სამინისტროს და პარლამენტის უმეტესობას, რომელშიაც ბევრი მსხვილი მემამულე ურევია, ჭკუაში არ დაუჯდა გლეხების მოთხოვნა, ხოლო სამხედრო ლიგა თანაგრძნობით ეკიდება დეპუტაციას. ხალხიც გლეხებს უჭერს მხარს და მოითხოვს, რომ დროს სასადგილ-მამულო საკითხი საბერძნეთში საბოლოოდ გადასწყდეს.

**კამათი დიუზის საქმეზე საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში.**

საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ 2 მარტსაც განაგრძო კამათი დიუზის საქმის თაობაზე. სხდომას დაესწრო მთელი სამინისტრო. ილაპარაკეს სამმა სოციალისტმა: ვილმმა, ალემანმა და ჟორესმა.

ვილმმა სთქვა: პირველმა მინისტრმაც და იუსტიციის მინისტრმაც აღიარეს შეცდომები სასამართლოსი და ამ შეცდომათა გასწორების აუცილებლობა. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ის, რომ მთავრობა არ დასჯერდეს მარტო სიტყვებს. დემოკრატია ვერ მოითმენს, რომ მართლმსაჯულების იდეალები ჩააქრონ საზოგადოების ნაძირალებმა.— ვილმის სიტყვა მხოლოდ უკიდურეს მემამულეებს მოეწონათ. შემდეგმა ორატორმა ალემანმაც არ მოახდინა შთაბეჭდილება პალატაზე.

ჟორესმა ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა საეკლესიო ქამულების ჩამორთმევის დასაცველად. ორატორს ხშირად დაუკრეს ძლიერი ტაში. ჟორესმა შეაქო ბრიანი და სხვა პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებმაც ითავეს და განახორციელეს ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან. დასასრულ ჟორესმა მოითხოვა მთავრობისგან ენერგიულ ღონისძიების მიღება.

ჟორესის შემდეგ ილაპარაკა ბრიანმა. პირველმა მინისტრმა თითქმის მთელი საათი ილაპარაკა. მან მადლობა გადაუხადა ჟორესს იმისთვის, რომ ჟორესმა შესაფერ სიმაღლეზე დააყენა კამათი და პალატას გაახსენა მნიშვნელობა წინანდელ სამინისტროების მიერ განხორციელებულ საეკლესიო რეფორმისა ბრიანი ბეჯითად მიექომაგა მინისტრს მილიერანს, რომლის სახელის გატეხასაც ძლიერა ცდილობენ მისი მტრები. შემდეგ ბრიანმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში გაზეთები ხშირად სწერდნენ ლიკვიდატორების ბოროტმოქმედებაზე. რა გაარიგა ამ ორ წლიწადში ჟორესმა, რომელიც ეხლა მოსამართლედ გამოდის? არაფერიც არ გაურიგებია! არც პალატაში, არც თავის გაზეთში მას კრინტიც არ დაუძრავს. სამინისტრომ-კი რიგზე შეასრულა თავისი მოვალეობა; თავდაპირველად დაატუსაღებინა დიუზი, ჟორესი დიდებული პოლიტიკოსი და ძლიერ დიდი მეცნიერია, მაგრამ იგი ყურადღებას არ აქცევს საქმის იურიდიულ მხარეს. ლიკვიდატორი—სასამართლოს აგენტია და მთავრობას მისი დატუსაღება მხოლოდ მაშინ შეუძლიან, როდესაც იგი ბოროტმოქმედებას ჩაიდენს. მანამდე-კი მას არ შეუძლიან კანტროლი გაუწიოს ლიკვიდატორს. ამის შემდეგ, ბრიანი შეეცადა იუსტიციის მინისტრის ბარტუს დახსნასაც. ბარტუმ წინა დღეებში სთქვა პალატაში: „გახურებულ რკინით უნდა დაიდაღოს მართლმსაჯულების იარაღი“ და ამით მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა პალატაზე. ბრიანი ამტკიცებდა, რომ ბარტუმ ეს სიტყვა სთქვა ლიკვიდატორებზე და არა სასამართლოებზე. ამ დროს წამოდგა ბარტუ და სთქვა: „მადლობელი ვარ პირველ მინისტრისა, რომ ასე სწორედ ხსნის ჩემს სიტყვას. მემარჯვენეებმა და უკიდურეს მემარცხენეებმა, რომლებსაც არ მოეწონათ ეს სცენა, ხმაურობა დაიწყეს. დასასრულ, ბრიანმა მოითხოვა ნდობის გამოცხადება.

უკიდურესმა მემარცხენეებმა კიდევ მოინდომეს გადამდგარ სოციალისტის მილიერანის სახელის გატეხა, რადიკალ-სოციალისტმა ბინემ მკაცრად განაცხადა, რომ მილიერანმა თავი უნდა დაანებოს მინისტრობას და დაიწყოს ადვოკატობა, რომელიც ასე უყვარსო. ამავე დროს ბინემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი თავის ამხანაგებით სრულიად ენდობა ბრიანს. ჟორესმაც თავის ადგილიდან რამდენიმე სიტყვა სთქვა მილიერანის წინააღმდეგ. ბრიანი ხელახლად ავიდა ტრიბუნაზე და რამდენიმე გულმხურვალე სიტყვა წარმოსთქვა „თავის მეგობრისა და თანამშრომლის“—მილიერანის დასაცველად: „მე ღვთის ანაბარაზე ვერ დავტოვებ ჩემს მეგობრებს. სამინისტროს წევრებს ყველას ერთი პირი გვაქვსო“.

ბინემ განაგრძო მილიერანის გაკიცხვა და გაიხსენა, რომ მილიერანმა წინასიტყვაობა გაუკეთა დიუზის წიგნს, რომელსაც სათაურად ჰქონდა: „ლიკვიდატორის მოვალეობა“. მილიერანმა სალიკვიდაციო პროცესებში 80 ათასი ფრანკი მიიღო, ხოლო მისმა მდივნებმა უფრო მეტიო. მილიერანმა ამის წინააღმდეგ გადაჭრილი პროტესტი განაცხადა და სიტყვა წარმოსთქვა თავის თავის გასამართლებლად: 1904 წელს ორმა ვექილმა და ლიკვიდატორმა დიუზმა შეადგინეს პატარა იურიდიული წიგნაკი, წინასიტყვაობის დაწერა მთხოვეს და მეც დავთანხმდი. სალიკვიდაციო პროცესებში მთელი წლის შრომისათ ის გასამრჯელო ავიღე სულ 10 ათასი ფრანკიო.

ბოლოს პალატამ 343 ხმის უმეტესობით 79 ხმის წინააღმდეგ დაამტკიცა ბრიანის მიერ მოწონებული მორიგი ფორმულა: „პალატა ჰგმობს ბოროტ მოქმედებას სალიკვიდაციო საქმეებში და გამოსთქვამს მტკიცე იმედს, რომ მთავრობა აღმოაჩენს დამნაშავეთ და პასუხის-გებაში მისცემს მათ“.

**ბრძოლა საარჩევნო უფლებისათვის პრუსიაში.**

2 მარტს საღამოს ბერლინში სოციალ-დემოკრატებმა 48 კრება მოახდინეს პროტესტის გამოსაცხადებლად პრუსიის ლანდტაგის საარჩევნო კანონპროექტის წინააღმდეგ. ყველა კრებაზე ერთსა და იმავ საგანზე წაიკითხეს მოხსენება: „პოლიციური ღონისძიებანი საარჩევნო უფლების მაგივრად“. კრებებს აუარებელი ხალხი დაესწრო. წინადვე გამოცხადებული იყო, რომ კრებაზე დამსწრეთ არ უნდა მეხდინათ დემონსტრაციები ქუჩებში. ეს განკარგულება, რომელიც მოახდინა ოციალდემოკრატმა დეპუტატმა ერნსტმა, ყველგან რიგზე შეასრულეს. ამიტომ პოლიციას საბუთი აღარა ჰქონდა საქმეში ჩარევისა. ყველა კრებაზე მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „შეკრებილნი გადაჭრით უარჰყოფენ როგორც კონსერვატორ-ლერიკალთა უმეტესობისგან შეთითხნილ კანონპროექტს ისე მთავრობის კანონპროექტს და მზად არიან ყოველი ღონე იღონონ, რომ პრუსიის ხალხი არ დამშვიდდეს, სინამ მოპოვებულ არ იქნება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და საიდუმლო საარჩევნო უფლება ყველა სრულ წლოვან მოქალაქისათვის, სქესის განურჩევლად“.

# ბიბლიოგრაფია

Н. Я. Марръ. Яфетическое происхожденіе армянскаго слова Margarey—пророкъ. Извѣстія Императорской Акад. Наукъ 1909. (Bulletin de l, Akaemie Imperiale des Sciences Saint.-Ieterѕburg). და Яфетическій у-ро въ армянскомъ языкѣ. Отдѣльный оттискъ изъ Записокъ Восточнаго Отдѣленія Император. Русскаго Археологическаго Общества, т. XIX, С. Петербургъ. 1910.

(დასასრული*)

ბ-ნ მარრის ეს ორი შრომაც, როგორც ყველა სხვა მისი ნაწერი, ჩვეულებისამებრ, სიამოვნებით იკითხება, როგორც ნიჭიერად დაწერილი და დასაბუთებული, (რამდენადაც რა თქმა უნდა არსებული მასალა მეცნიერს ნებას აძლევს), და ამის შესახებ უტყუარისა და სამართლიანის მსჯავრის გამოთქმა შეუძლია მას, ვინც ბ-ნ მარრსავით სისტემატიურად და მასთან ინტენსიურად მუშაობს ამ საგანზე, თუმცა ზოგიერთი შენიშვნა, ჩვენის აზრით, უადგილო არ იქნება ჩვეულებრივის მკითხველის მხრითაც კი.

ამიტომაც, საჭიროდ ვრაცხთ, შევნიშნოთ ჩვენის მხრითაც, რომ ჩვენ ყოველ შემთხვევაში ვერ გვაკმაყოფილებს ზოგიერთი მაგალითი, რომლებიც ბ-ნ მარრს თავისი თეორიის დასამტკიცებელ საბუთად მოაქვს, და ეს კი უყურადღებოდ არ შეგვიძლია დავსტოვოთ და აი რატომ: საზოგადოდ, ლინგვისტიკაში სქემების შედგენა უფრო ადვილია, ვიდრე კარგი მაგალითების თავის მოყრა, რადგან როგორც ეს სქემები, ისე საერთოდ მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებითაც ამ შემთხვევაში მეცნიერი ხელმძღვანელობს, უკვე ცნობილია. ვინც დაახლოებით იცნობს ცნობილ თანამედროვე ლინგვისტთა ნაშრომებს, ის აშკარად დაინახავს ჩვენის მეცნიერის იშვიათს სიფრთხილეს: იგი მტკიცედ მისდევს ისეთი სემიტოლოგების კვალს, როგორიც არიან ბროკელმანი, ბართი, ნოლდეკე, ჰომმელი, მიულლერი, კოკოვცევი და სხვ.; ამ მხრით მას წუნს ვერვინ დასდებს; ყოველ შემთხვევაში მის ნაშრომთა ამწონ-დამწონს ჭმართებს იმგვარივე სისხლითი მეცნიერული ნათესაობა, როგორითაც ბ-ნი მარრია ცნობილი. ამიტომაც ჩვენ ამ მხარეს გვერდს ვუხვევთ ამ გზობისად და მხოლოდ ორიოდე შენიშვნით, რომლებიც მაინც და მაინც ფაქტიურ მხარეს ეხება, ვკმაყოფილდებით.

როგორც ზემორე მოყვანილიდან სჩანს, მეცნიერის აზრით, სომხ. კ—ნი არიულზე ადრინდელი ყ—რი უდრის იაფეტურს ყ—რს, რომელიც თავისი მხრით—(,ღ)-ს, resp. წ (,d); არიულზე ადრინდელი სომხ. ყნ=იაფეტ ყნ. *կական* (კაკან)—იაფეტ.: ქართ. ყაყანი. ეს მაგალითები, ჩვენით აზრით, უადგილო რომ არა ვსთქვათ, უხერხულია. რადგან *կական* (წაიკ. კაკან)—ჯერ ერთი—ეკუთნის ესრეთ წოდებულ „ონომატოპეიას“ (ხმის მბაძავ სიტყვებს), მეორეც—იგივე სომხ. „კაკან“ შენახულა ქართულშიაც ისევე უცვლელად, როგორც ეს სომხურშია, სახელდობრ კაკანი. მართალია, ქათმის კაკანის გამოსახატავად სომხურშიაც იხმარება *կչկչել*, მაგრამ ამით გარემოება როდი იცვლება, რადგან აზრითაც და ფორმითაც სომხური და ქართული თითქმის ერთი და იგივეა; *կականել*—ხადილი, კვნესა, აზრით უახლოვდება ქართულს კაკანს, რომელსაც ძალიან ხშირად ადამიანებსაც კი ახმარებენ. ხოლო რაც შეეხება სიტყვა ყაყანს მას ქართულში საკმაოდ გარკვეული ფუნქცია აქვს და მნიშვნელობით არსებითად განსხვავდება სიტყვისაგან *կական*, რადგან პირველი ნიშნავს, ქართულში, თავის მომაბეზრებელ უთავბოლო ყვირილს, აურ-ზაურის დროს, ე. ი. მას ხმარობენ იმ შემთხვევაში როცა აღელვებული ადამიანების საერთო გულმოსული ყვირილისაგან ყურთა სმენა აღარ არის*), ხოლო მეორე კი, სომხურში, ტირილით ვედრებას, ხადილს უფლისა მიმართ (იხ. *Գրիգոր Նարեկացի*). ქართული ენა მდიდარია, „ონომატოპეია“-თი; მას ამ მხრით ძვირად თუ რომელიმე ენა შეედრება.

ამგვარივე ხმის მბაძავა ჩვენისაზრით, *կոկորդ*—(კოკორდ),—გურ. ყორყა, ქართული კორკი, რომელთა სინონიმები სხვა ენებზედაც (გერმანულ, რუსულ, ფრანგულ და სხვ.), იმგვარივე უფლებებით შეიძლება დავუახლოვოთ *կոկորդ*-ს, როგორც ყორყი, კორკი და ყარყანტო, (მეგრ. ყანყრატო) და სხვა. სიტყვა გუგული ძალიან ბევრ ენაზე ჰბაძავს ამ ფრინველის ხმას (ყვირილს). ამიტომაც, ჩვენის აზრით, „ონომატოპეია“ არ გამოდგება ამ შემთხვევაში, რადგან მათზე დამყარებული ენათა ნათესაობის საკითხის შესახები აზრი ყოველ შემთხვევაში პარადოქსალური იქნება. წინამდებარე საკითხის გადაწყვეტის დროს კიდევ მეტი სიფრთხილე ჰმართებს მეცნიერს, რადგან შესაძლებელია დამტკიცდეს, (ჩვენ ეს ღრმადა გვწამს), რომ სომხურს ენაში, როგორც წმინდა არიულში, აფრიკატების არსებობა აიხსნება ამ ენის ქართულის გვარის ენებთან იმ თავითვე დამოყვრებით, დამმობილებით, ისტორიულ-კულტურული ასპარეზის ერთობითა.

ამიტომაც, როგორც ცნობილია, ბევრი წმინდა არიული სომხურის ძირის სიტყვები დაექვემდებარა ადგილობრივის ქართული აფრიკატების ძლიერ გავლენას.

არიულზე ადრინდელი სომხური ყრთ.=იაფეტ. ქართ. წრტ. სომხ. *կէտ*—ქართ. 1. წერტა. 2. წერტილი. 3. წრტიალი—დეზი.

ეს მესამე მაგალითი, სახელდობრ, „წრტიალი“ ჯერ-ჯერობით მაინც უხერხულია, რადგან მისი ნამდვილი მნიშვნელობა არ ვიცით; ვიცით მხოლოდ, რომ იგი არსის სახელს არ უნდა აღნიშნავდეს, რადგან მისი ფორმა იმგვარია, რომ იგი მოქმედების სახელს შეეფერება. შეადარე სიტყვები—ი-ალ-ი-ზე დაბოლოებული, როგორც მაგ.: ტრიალი, კრიალი, გრიალი; სრტიალი, ფრიალი, ფრტიალი, ტკრციალი, ჭყრტიალი, პრიალი, ბრიალი, ბღლრიალი და სხვა მრავალი.

სიტყვა წრტიალი *) მოიპოვება, როგორც ს. ორბელიანის, ისე ჩუბინაშვილის ლექსიკონში, მაგრამ ისე რომ საბა ორბელიანის ლექსიკონში ეს სიტყვა ვერ არის გასაგებად განმარტებული (იხ. საბ. ლექსიკონში: „ტკივილით ნამეტნობა“, ხოლო ჩუბინაშვილის ლექსიკონში იგი ახსნილია ისე, როგორც ბ-ნ მარრსა აქვს, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ჩუბინაშვილის ახსნა ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებს; ყოველ შემთხვევაში საჭიროა ვიცოდეთ წყარო, საიდანაც იღებს ამ განმარტებას პატივცემული მეცნიერი. ვიმეორებთ, წრტიალი დეზს არ უნდა ნიშნავდეს, მით უფრო, რომ რუსთაველს სიტყვა დეზიცა აქვს ნახმარი, ხოლო წრტიალი იგივე უნდა იყოს, რაც წკრტიალი, ან ამ უკანასკნელის მნიშვნელობაზე ახლო და, მართლაც „ტკივილით ნამეტნობა“-ს უნდა ჰხატავდეს; სიტყვა წკრტიალი კი ჩვენა გვხდება ორჯელ დავით გურამიშვილის ნაწერებში (იხ. „დავითიანი“ დ. გურამიშვილის, უმიკაშვილის რედაქტორობით. გვ. 56, ხ. 2, ტ. 4; გვ. 103, ხ. 4, ტ. 4).

შესაძლებელია ბევრი სხვა ფაქტიც არ გამართლდეს იაფეტური მასალებიდან, როგორც მაგ.: სემიტურ ძირებთან დაახლოვებული: იაფეტ.: ქართული: სი+ძე, სი+მამრი, სი+დედრი, (იხ. Н. Марръ основныя таблицы къ грамматикѣ древнегруз. яз., стр. 5, пр. 3 и 4.), რომლებიც ბრუნვათა დაბოლოების აფიქსაციის კანონით შეიძლება აიხსნას, როგორც წარმოებული საფუძვლისაგან დედა, მამა, ძე...**) ibid. 3, b) სამხრეთ, რომელსაც ბ. მარრი აწარმოებს მზისაგან და განმარტავს ასე: Солнечная сторона, впротивоположность ჩრდილო-тѣневая, темная сторона, მაშინ როდესაც [illegible] ... ლებას, რაც პირველ-ყოფილი ადამიანის ბუნებრივ წარმოდგენას არ ეწინააღმდეგება (შეად. ხალხური სამხარი, მზე სამხარს არიო და სხვა.), მაგრამ ეს სრულებითაც არ დაამცირებს ჩვენის სახელოვანი აკადემიკოსის შრომის დიდსა და დაუფასებელ ღვაწლს, როგორც კერძოდ ქართულ ენათა მეცნიერებისათვის, ისე საერთოდ ლინგვისტიკისათვის.

რა ღირსებისაც არ უნდა იქმნას ბ. მარრის იაფეტური თეორია და მისი შესახები გრანდიოზული გამოკვლევანი, იგი ყოველ შემთხვევაში დიდს სამსახურს გაუწევს ქართულ ენათა შესწავლის საკითხს; იგი, როგორც თანამედროვე მეცნიერების თანახმად შედგენილი შრომა გარკვეულს ლინგვისტიურ პრობლემას უყენებს თვალწინ თანამედროვე მეცნიერთ, რაც თავის მხრით შესაძლებელჰყოფს საბოლოოდ გამოირკვას ქართულის ჯგუფის ენათა წარმოშობის საკითხი.

**იუსტინე აბულაძე.**

*) იხ. „დროება“ N 55. სამწუხაროდ, ზოგიერთი სიტყვა „უმინდელ წერილში შეცდომით არის დაბეჭდილი. უმთავრესი შეცდომები: „მარგარეხი“ ახლ ե=ե+յ დაიბეჭდა წრტიალი-ს მაგივრად: წერტილი. ქართ. ღრ.=თუშ. კაკნ. ღჯ.

*) თუ მაინც და მაინც ქართ. ქაქანი უფრო ახლოა სომხურს კაკან-ზე, ვიდრე ყაყანი.

*) სიტყვა „წრტიალი“ არც მე შემიტანია რუსთველის ლექსიკონში, რადგან მთელი ჩემი ყურადღება და დრო დაჭერილი ჰქონდა ნახეხები სიტყვების არაბულ-სპარსულ-სომხური ახოებით აწყობას. აუტანელი იყო სტამბის პირობები; ამასთან ახოთ-ამწყობები ხშირად ჩხუბობდნენ; ერთს მეღრინთვის წაურთმევია ჩემი ორიგინალი, გაუხევია და უტევია ჯიბეში; ბევრი მენიხ შემდეგ (თითქმის ხუთი დღის შემდეგ) იპოვეს გაქცეული ახოთ-ამწყობი, რომელსაც ჯიბეში აღმოაჩნდა ჩემის ხელნაწერის ნაგლეჯები; ამას გარდა მე თითონ ჩემი ხელით დამქონდა ერთის სტამბიდან მეორეში არაბულ-სპარსული ასოები; ამიტომაც ვერ მოვახერხე შემეტანა ბევრი გაუგებარი სიტყვა ან დამეხაზლებია მაინც მათი არსებობა; შეცდომით დაიბეჭდა ბევრი სიტყვა; ვერ დაიბეჭდა უშეცდომოდ ებრ. შაბათ, რომელიც საბატონოს განმარტებაში გვაქვს, თუმცა შეცდომის გასწორებაშიაც შევიტანე, მაგრამ იქაც კი შეცდომით დაიბეჭდა (სპ. შანბად, ეთიოპ. სანბად, შეად. Nôldeke, Percische Stud. II, 37) დახტურის შესატყვისად მოთავსებული იყო სიტყვა სპარ. დრუსტ.—ნამდვილი და დედნის გადაუხედაობის გამო, დამრჩა წაუშლელად ხსოვნისათვის ჩაწერილი მსგავსის სპარსულის სიტყვის შეუფერებლობის მესახები ადგილი და შეცდომით დაიბეჭდა. ჭეშმარიტი, მართალი, რომელიც, ჩვენის აზრით, სუფიქსის ურ-ის საშუალებით გაკეთებული ფორმების მსგავსად არის ხმარებული ქართულში, ბედი-ს შესატყვისად სპ. ბახტ და სხვ. ვეღარ მოვასწარით არაბული ასოებით დაგვესტამბა მუშაითი, რომელიც, ჩვენის აზრით, არაბულად ფილოსოფოს—პერიპატეტიკს აღნიშნავდა, ხოლო შემდეგ ჯამბაზ-ის, მნიშვნელობა მისცემია.

**) ბრუნვათა დაბოლოებათა და პრეპოზიციაქსალურისა და სუფიქსალურის ნაწილაკების შედგენილობა ქართულში წმინდა არსის ნაცვალებრივია (мѣстоименный). არსის ნაცვალებრივი ელემენტები ქართულს ენას ყველა ენაზე კარგად შეუნახავს; ისინი ჯგუფებრივ და ცალკე შედიან ენის ყოველგვარ ფორმათა შედგენილობაში, ამიტომ მათ ჩვენის აზრით, რადგან ისინი დღესაც ისევ მოძრავნი და ცოცხალნი არიან, უაღრესი მნიშვნელობა ექნებათ ძველი ქართულის ლინგვისტიკური ტიპის აღდგენისათვის, რაზედაც რამდენამდე დამოკიდებულია საერთო ენათ მეცნიერების ის ერთი უმნელესი და უბნელესი საკითხი, თუ რაგვარ და რა გზით ადამიანის ენის პირველყოფილი მდგომარეობა შეიცვალა დღევანდელ უმაღლესად განვითარებულ ენად.


# განცხადებანი

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., პებ. და ხიფილავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღარიბებს ცხრამაბათობით უფასოდ იღებს. (6.—6)

**ქუთაისში**

**◀ კიწმარაშვილის და ამხ. ▶**

**თესლეულობის მაღაზიაში** მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნებათ. (25—კვ.—4)

**გაზ. „დროების“ კანტორა**

აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელის მომწერმა კანტორას უნდა აცნობოს ხოლმე, რათა შემდეგისთვის ყურადღება მიექციოს გაზეთების წესიერად მიღებას.

**ძმ. ავსარქისოვების ბაღი**

ჰყიდის სხვა და სხვა ხეხილის ნამყენებს. არის საზღვარ-გარეთის, რუსეთის და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილები.

ადრესი: Ст. Скра, (З. К. Ж. Д.) Авсаркисову. მსურველებს კატალოგები უფასოდ ეგზავნება. (15—1024—15)

**—◀ სრული პასუხის მგებლობა ▶—**

**მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე**

**„ფეხსაცმელების სახელოსნო“**

გვაქვს მზად შეკერილი ფეხსაცმელები ქალებისთვის, კაცებისთვის და ბავშვებისთვის საკუთარი ნამუშავარი—შევროსი, ხრომისა და სხვა მასალისა, აგრეთვე ვკერავთ შეკვეთით ხუფთად, მკვიდრად და დანიშნულვადაზედ. საქონლის სიკარგისათვის ვკისრულობ სრულ პასუხის მგებლობას.

ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითაროვისა N 28.

**პატივისცემით ივ. სვ. ბერძნიშვილი.**

**—◀ სრული პასუხის მგებლობა ▶—** (25—6.—5)

**გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა**

**კოოპერაცია**

(თეორია ისტორია და პრაქტიკა).

გამოცემა „შრომის“ სტამბის ამხანაგობისა.

**შინაარსი:** რა არის კოოპერაცია, კოოპერაციის მიზანი, ისტორია, სხვა და სხვა გვარი კოოპერაცია: მომხმარებელი საზოგადოება. მწარმოებელი ამხანაგობანი, საკრედიტო კოოპერატივები. კოოპერაცია სოფლად. ანგარიში კოოპერატიულ დაწესებულებებში. მნიშვნელობა კოოპერაციისა. კოოპ. ჩვენში. ✦ **წიგნის ფასი 35 კაპ.** ✦

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს დაეთმობა 25% დაკლებით. ერთი ცალის მსურველს ქალაქ გარეთ შეუძლია 35 კაპ. ღირებული საფოსტო მარკა გამოგზავნოს. გასაგზავნი არ გადახდება. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія „Шрома“ Василію К. Болквадзе. (10—6.—9)